# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფუთილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 16 თებერვალი. 2019 წ. №34 (8700) | ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




სენატორები აშშ-ის პრეზიდენტს მიმართავენ, საჯაროდ მოსთხოვოს რუსეთს, შეწყვიტოს ოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სეპარატისტების მხარდაჭერა

3

## მოაწერს დონალდ ტრამპი ხელს რუსეთის „გამანადგურებელ“ დოკუმენტს?!

## ჰასან რუჰანი საკუთარი ქვეყნის დამპყრობლურ წარსულს მისტირის!!!

### ირანის პრეზიდენტის შემაშფოთებელი განცხადება



ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი მიიჩნევს, რომ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიები ირანს ეკუთვნოდა, რომელიც 205 წლის წინათ გამოყოფილი იქნა „მშობლიური მიწისგან“ — ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა ისლამური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სიტყვაში განაცხადა.

„ყაჯარების დინასტიის მმართველობის დროს, 205 წლის წინათ, ირანის მშობლიური მიწები გამოყოფილი იქნა ქვეყნისგან, მათ შორის ჩრდილოეთ ირანის და კავკასიის ტერიტორიები. ამ ადგილებში დღეს ფორმირებულია მრავალი სახელმწიფო“, — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა.

ისტორიული პრეტენზიების წარმოთქმისას კონკრეტული მიზეზები როუჰანის არ დაუსახელებია, თუმცა განმარტა, რომ შაჰების მმართველობა მოღალატეობრივი იყო.

* * *

XXI საუკუნეში უზარმაზარი ისლამური ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ ისტორიულ სისულელეს რომ იტყვის, რა განვითარებასა და თანამეგობრობაზეა ლაპარაკი!!!

ფრთხილად, კავკასია!

## ანგელა მერკელისა და სალომე ზურაბიშვილის შეხვედრა 20 თებერვალს შედგება



**საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილი საინაუგურაციო ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის კანცლერის ოფისს 20 თებერვალს ეწვევა.**

სალომე ზურაბიშვილისა და ანგელა მერკელის შეხვედრისას განსახილველი თემები იქნება გერმანია-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები, სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება, ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები. სალომე ზურაბიშვილის ოფიციალური ვიზიტი გერმანიაში 20-21 თებერვალს შედგება.

## ვით გეკადრება მონსენიორო, ქალის თეძოებზე შეხება!!!



პარიზის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო საფრანგეთში ვატიკანის ელჩის, 74 წლის ლუიჯი ვენტურას წინააღმდეგ. მედიის ცნობით, ვატიკანის წარმომადგენელს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა პოლიციას საჩივრით მიმართა. ის ამტკიცებდა, რომ მონსენიორი ლუიჯი ვენტურა რამდენჯერმე მის თეძოებს შეეხო საახლწლო ცერემონიის დროს პარიზის მერიაში. ლუიჯი ვენტურა საფრანგეთში რომის პაპის დიპლომატად 2009 წლიდან მსახურობს.

## უსაფრთხო შავი ზღვის გარეშე შეუძლებელია, არსებობდეს უსაფრთხო ევროპა!

**მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო ნატოსა და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.**

**დავით ზალკალიანმა მთავარი აქცენტი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასა და რეგიონში ნატოს როლის გაძლიერებაზე გააკეთა. მისი თქმით, შავი ზღვის აუზში ნატოს გაძლიერება რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, შავ ზღვაზე ძლიერი და სანდო პარტნიორების არსებობა ალიანსისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანია. მინისტრის თქმით, „შავი ზღვა მშვიდობისა და მდგრადი განვითარების რეგიონად უნდა იქცეს, სადაც ქვეყნები თავიანთ ერთიან ძალისხმევას სტაბილურობის განმტკიცებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართავენ“.**

**საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციასთან ერთად მიუნხენის უსაფრთხოების 55-ე კონფერენციაში მონაწილეობს.**



## ჰოკინგის მანიფესტი

6

## ელინისტური ხანის სამარხი გლდანის ციხესთან

თბილისში, გლდანის ციხესთან აღმოჩენილ ძველ სამარხს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური სამსახური შეისწავლის.

**„ახალგამოვლენილი ობიექტის პირველადი დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა 4 სამარხი, რამდენიმე კერამიკული ჭურჭელი და ლითონის სამკაული. არქეოლოგების წინასწარი შეფასების მიხედვით, აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები შესაძლებელია ელინისტურ ხანას განეკუთვნებოდეს. არტეფაქტებისა და სამარხების დათარიღებისა და კულტუროლოგიური შეფასების კვალიფიციური დასკვნა სააგენტოში უახლოეს დღეებში მომზადდება. გლდანის ციხესთან ძველი სამარხი სანიაღვრე მილის დაზიანების შედეგად ჩამორეცხილ მიწის ფენებში გამოვლინდა.“**



## გიორგი გახარია: TBC ბანკი არის სისტემური ბანკი ქვეყნისთვის, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაზე კარგად ესმის ეროვნულ ბანკს!



სასტუმრო „თბილისი მარიოტში" შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ფუნქციების გაზრდის შესახებ პრეზენტაციის შემდეგ, გიორგი გახარიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

**„ეს გახლავთ მარეგულირებლის მიერ ფინანსური ბაზრის რეგულაციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება და მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. თუ მეკითხებით როგორც ყოფილ ბიზნეს-ომბუდსმენს, რა თქმა უნდა, გიპასუხებთ, რომ TBC ბანკი არის სისტემური ბანკი ქვეყნისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაზე კარგად ესმის ეროვნულ ბანკს და მარეგულირებელს. არ არსებობს დღეს ქვეყანაში ინსტიტუცია, რომელსაც უკეთესად ესმის „TBC ბანკის" ფინანსური სისტემისთვის მნიშვნელობა, ვიდრე ეს რეგულატორს, ამიტომ აქ ვერანაირი კითხვის ნიშნები ვერ იქნება, მით უმეტეს ჩემი მხრიდან და აქ ჩემი კომენტარები, მაშინ, როდესაც რეგულატორი თავის მანდატშია შესული, აბსოლუტურად უადგილო და ზედმეტია",** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

## მამუკა ხაზარაძე: არ დავთმობთ ჩვენს საქმეს, არ შევეგუებით უსამართლობას

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას ეხმაურება მამუკა ხაზარაძე და სოციალურ ქსელში წერილს აქვეყნებს:

**„მეგობრებო, უკვე 8 თვის განმავლობაში, „თიბისის", ჩემი და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ ორგანიზებული კამპანია მიმდინარეობს, რომელიც ეროვნული ბანკის დღევანდელი ბრძანებით დაგვირგვინდა, სებ ითხოვს ჩამოგვაშორონ იმ კომპანიას, რომელიც 27 წლის წინათ ერთად შევქმენით და დღეს უკვე წარმატებულ, საერთაშორისო, ლონდონში ბაზირებულ, მრავალმილიარდიან ორგანიზაციად იქცა, „თიბისელების" გუნდი 10,000-მდე ადამიანს ითვლის და სიამაყით და იმედით უყურებს მომავალს. დღეს თიბისი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს თანატოლია, ბიზნეს სამყაროში მსოფლიო დონისა და სტანდარტების მქონე კომპანიაა, ინსტიტუტი, რომლითაც ყველა ქართველს შეუძლია იამაყოს.**



**მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა იურიდიულმა კომპანია DENTONS-მა შეისწავლა 11 წლის წინანდელი საკითხი, რაზეც ახლა მიმდინარეობს მსჯელობა და დაადგინა, რომ არა თუ ფულის გათეთრებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ან რაიმე კრიმინალურ ქმედებას, არამედ ინტერესთა კონფლიქტსაც კი არ ჰქონია ადგილი.**

**ჩვენ არ დავთმობთ ჩვენს საქმეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ღირსებას. არ შევეგუებით უსამართლობას და ყველა ჩვენ ხელთ არსებული საშუალებით დავიცავთ „თიბისის" და მისი აქციონერების სამართლებრივ უფლებას ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებში.**

**დიდ ეჭვს იწვევს ისიც, რომ ასეთი აჩქარებული ტემპით გამოტანილი გადაწყვეტილება და ჩვენი რეპუტაციის შემლახველი კამპანიის წარმოება ხდება სწორედ ახლა, როდესაც ასე ახლოს ვართ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის — ანაკლიის პორტის წარმატებით განხორციელებასთან.**

**კვლავაც იმედით ვუყურებ ჩვენს მომავალს და მადლობას ვუხდი ყველა თქვენგანს მხარდაჭერისთვის!"**

## საქართველოს საბანკო ასოციაცია მხარს უჭერს „თიბისი ბანკს"

საქართველოს საბანკო ასოციაცია „თიბისი ბანკის" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება. მხარს უჭერს „თიბისი ბანკს" და მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, თავი შეიკავონ ზედმეტი ინსინუაციებისაგან.




**„საქართველოს საბანკო ასოციაციას სურს, გამოეხმაუროს მისი წევრი „თიბისი ბანკის" ირგვლივ შექმნილ სიტუაციას, რომელიც უკავშირდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის მიმართ ეროვნული ბანკის მიერ ხელმოწერის უფლების შეჩერებას და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევის მოთხოვნის საკითხს.**

**„თიბისი ბანკი" არის ქვეყნის წამყვანი საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში (FTSE250) და იმართება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვით. „თიბისი ბანკი" ფინანსური მაჩვენებლებით არა თუ ქვეყნის, არამედ რეგიონის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია. აღნიშნული გვაძლევს უფლებას სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ მარეგულირებლის გადაწყვეტილება არ იქონიებს გავლენას „თიბისი ბანკის" სამომავლო განვითარებაზე და მის სტრატეგიაზე.**

**მისასალმებელია „თიბისი ბანკის" მენეჯმენტის გადაწყვეტილება, გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართლებრივი გზები და სასამართლოს მეშვეობით დაიცვას აქციონერების და ბანკის ინტერესები.**

**საქართველოს საბანკო ასოციაცია მხარს უჭერს „თიბისი ბანკს" და ყველა თიბისელს და მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, თავი შეიკავონ ზედმეტი ინსინუაციებისგან",** — აღნიშნულია საქართველოს საბანკო ასოციაციის განცხადებაში.

## გიორგი ქობულია: სამართალდამცავი უწყებები და პროკურატურა დეტალურად გაერკვევიან ამ საკითხში



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია აცხადებს, რომ „თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიმართ ბრალდებები სერიოზულია და ამის დაკავშირება პოლიტიკურ პროცესებთან სწორი არ არის.

**„სამართალდამცავი უწყებები და პროკურატურა დეტალურად გაერკვევიან ამ საკითხში, ეს არის მათი პრეროგატივა. ბრალდებები, რომლებიც გაჟღერდა, არის ერთობ სერიოზული და საჭიროა გარკვევა. ამას ვერანაირად ვერ დავაბრალებთ მხოლოდ პოლიტიკურ პროცესებს. მე არ მაქვს შთაბეჭდილება, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა კერძო ბიზნესზე ზეწოლაა, რადგან სერიოზული ბრალდებებია, რომელთაც ფაქტობრივი მტკიცებულებები აქვს. შესაბამისად, საკითხში უნდა გაერკვნენ შესაბამისი ორგანოები. სამწუხაროდ, მეტს ვერ ვიტყვი, ეს არის პროცესი, რომელსაც წარმართავს პროკურატურა".**

## 2019-2020 წლებში მენაშენეებისგან ბინების გამოსყიდვის მიზნით 51.5 მლნ ლარი დაიხარჯება

**სამინისტრო დევნილი ოჯახებისთვის მენაშენეებისგან 700-ზე მეტ ბინას, კონკურსის წესით შეისყიდის. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მენაშენეებს შეხვდა. მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ მენაშენეებს კონკურსის მოთხოვნებისა და პირობების შესახებ ინფორმაცია პირადად გააცნო.**

კერძო პირებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვის წესის განმახორციელებელმა კომისიამ კონკურსში მონაწილე მენაშენეებისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაადგინა. საკონკურსო პირობების თანახმად, ამ ეტაპზე, სამინისტრო თბილისში, დაახლობით, 700, გორში კი 40-მდე მშენებარე ბინას შეისყიდის. არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, თბილისში მხოლოდ ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინების შეძენის საკითხი განიხილება, რადგან სამინისტრომ 550 სამოთახიანი ბინა გასულ წელს უკვე შეიძინა. მშენებლობების დასრულების საბოლოო ვადად 2020 წლის 30 ივნისი განისაზღვრა.





## ქუთაისის საფეიქრო საწარმოში 300-ზე მეტი ადამიანი მუშაობს!

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გუშინ ქუთაისის საფეიქრო საწარმო „MGM TEX" დაათვალიერა. გიორგი ქობულია საწარმოს სახელმწიფო რწმუნებულთან იმერეთის რეგიონში შავლეგო ტაბატაძესთან და ქუთაისის მერ გიორგი ჭილვარიასთან ერთად ეწვია. სტუმრები ადგილზე გაეცნენ წარმოების პროცესს, შეხვდნენ საწარმოს ხელმძღვანელობას.**

შპს „ემჯიემტექს" 2018 წლის აპრილის დასაწყისში ამოქმედდა და წლიურად 6 000 000 ლარის ტანსაცმელს აწარმოებს. ინვესტიციის ჯამური მოცულობა 3 მლნ ლარს შეადგენს. საწარმო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ბენეფიციარია, საწარმოში ამჟამად 300-მდე ადამიანია დასაქმებული და პროდუქციას აწარმოებს ისეთი ცნობილი ბრენდის ტანსაცმელს, როგორიცაა M&S, UMBRO, Comma და სხვა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ კომპანია ბრენდის „H&M" ოფიციალური მიმწოდებელი გახდა, რაც ნიშნავს, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, „H&M"-ის მაღაზიებში პროდუქცია იარლიყით „MADE IN GEORGIA" (დამზადებულია საქართველოში) გაიყიდება.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა საწარმოს დათვალიერების შემდეგ აღნიშნა, ქვეყანას ამ ტიპის, ექსპორტზე ორიენტირებული მეტი ბიზნესი სჭირდება.

# მოაწერს დონალდ ტრამპი ხელს რუსეთის „გამანადგურებელ“ დოკუმენტს?!




## სენატორები აშშ-ის პრეზიდენტს მიმართავენ, საჯაროდ მოსთხოვოს რუსეთს, შეწყვიტოს ოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სეპარატისტების მხარდაჭერა

**აშშ-ის სენატს რუსეთის წინააღმდეგ ახალი, აქამდე არსებულ სანქციებზე კიდევ უფრო ძლიერი სანქციების დაწესების თაობაზე კანონპროექტი წარედგინა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თანათავმჯდომარემ, სენატორმა ბობ მენენდესმა (დემოკრატი — ნიუ ჯერსის შტატი), სენატორებმა ლინდსი გრემმა (რესპუბლიკელი — სამხრეთ კაროლინას შტატი), კორი გარდნერმა (რესპუბლიკელი — კოლორადოს შტატი), ბენ კარდინმა (-დემოკრატი — მერილენდის შტატი), ჯინ შაჰინმა (დემოკრატი — ნიუ ჰემპშირის შტატი) მიმდინარე წლის 13 თებერვალს აშშ-ის სენატში შეიტანეს კრემლის აგრესიისგან ამერიკის უსაფრთხოების დამცავი 2019 წლის კანონპროექტი (Defending American Security from Kremlin Aggression Act of 2019, DASKA). კანონპროექტი მიზნად ისახავს რუსეთის აგრესიული ქმედებების საპასუხოდ, მასზე ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლის გაზრდას.

კანონპროექტის მიხედვით, „აშშ-ის პრეზიდენტმა საჯაროდ უნდა მოსთხოვოს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, რომ ყირიმი დაუბრუნოს უკრაინის ხელისუფლების კონტროლს, შეწყვიტოს მხარდაჭერა სეპარატისტული ძალადობისადმი აღმოსავლეთ უკრაინაში, შეწყვიტოს ოკუპაცია და მხარდაჭერა საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიებზე მყოფი სეპარატისტებისადმი და შეწყვიტოს სირიის ბაშარ ალ ასადის ძალისმიერი რეჟიმის გაძლიერება, რომელიც ჩადის სამხედრო დანაშაულს.“

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ „რუსეთის გავლენის წინააღმდეგ შექმნილი ფონდის (Countering Russia Influence Fund) თანხები უნდა მოხმარდეს, სახელმწიფო მდივნის მიერ განსაზღვრულ ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებს, რომლებიც მოწყვლადნი არიან რუსეთის ფედერაციის დამაზიანებელი ზეგავლენისადმი.“ ამ მხრივ ფონდის მიზნების ჩამონათვალში ასახულია, რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციით გამოწვეულ კრიზისზე რეაგირების მნიშვნელობა — ფონდის ერთ-ერთი მიზანია **„უპასუხოს ჰუმანიტარულ კრიზისსა და არასტაბილურობას, რომელიც გამოწვეულია, თუ გაძლიერებულია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში შეჭრითა და ოკუპაციით.“ — აღნიშნულია აქტის ტექსტში.**

ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კანონმდებლობა ითვალისწინებს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მექანიზმების შექმნას — მაგალითად, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სანქციების კოორდინირებისთვის ახალი პოლიტიკური ოფისის შექმნას, რათა უკეთ მოხდეს აშშ-ის მიერ კრემლის აგრესიულ ქმედებებზე საპასუხო ქმედებების განხორციელება. იგი ასევე მხარდაჭერას გამოხატავს ნატოსადმი და უკრძალავს აშშ-ის პრეზიდენტს, სენატის თანხმობის გარეშე აშშ-მ დატოვოს ნატო-ს რიგები.

**„არ შეიძლება, პუტინის ქმედებების მოთმენა, უმოქმედობის მყისიერი შედეგია სირიაში მიმდინარე ჰუმანიტარული კატასტროფა, რეგიონული არასტაბილურობა, უკრაინელი მეზღვაურების გატაცება, უკრაინული გემების მიტაცება და საერთაშორისო ნორმების ეროზია. ერთი რამ ცხადია: მოსკოვი კვლავაც გააგრძელებს ზეწოლას მანამდე, სანამ მას არ შეხვდება რეალური წინააღმდეგობა. ამიტომაც ჩვენ შეგვაქვს აქტი, რომელიც ერთიანი სახით პასუხობს კრემლისგან მომდინარე საფრთხისშემცველ რეალობას; ამავე დროს, იგი ჩვენს მოწინააღმდეგეებსა და მოკავშირეებს აწვდის მკაფიო გზავნილს, რომ აშშ-ის კონგრესი დაიცავს ჩვენს ინსტიტუტებს, მოკავშირეებსა და ფასეულობებს“**, — ნათქვამია აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თანათავმჯდომარის, აქტის წარმდგენი სენატორის, მენენდესის (დემოკრატი — ნიუ ჯერსის ტატი) განცხადებაში.

**„ჩვენი მიზანია შევცვალოთ სტატუს-კვო და პუტინის რუსეთის წინააღმდეგ შემოვიღოთ მნიშვნელოვანი სახის სანქციები და ზომები. — ამ აქტში ასახული სანქციები და სხვა სახის ზომები, აქამდე ოდესმე არსებულ ზომებზე უფრო ძლიერია — იგი პირდაპირი პასუხია პუტინის დაუოკებელ სურვილზე, რომ ძირი გამოუთხაროს აშშ-ის დემოკრატიას. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ზომები მიმართულია, რომ მაქსიმალურად, ყველაზე უფრო ძლიერი სახით უპასუხოს პუტინის ქმედებებს“**, — ნათქვამია აქტის თანასპონსორი სენატორის გრემის (რესპუბლიკელი — სამხრეთ კაროლინას შტატი) განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ზემოხსენებული კანონპროექტი საჭიროა დამტკიცდეს აშშ-ის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის მიერ, რის შემდეგაც იგი აშშ-ის პრეზიდენტს გადაეგზავნება. პრეზიდენტის მიერ კანონპროექტზე ხელმოწერის შემთხვევაში, იგი კანონის ძალას მიიღებს.

# თბილისში მშენებლობებზე K2 კოეფიციენტები აღარ გაიყიდება!

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, დედაქალაქში კოეფიციენტების მატებისა და K2 კოეფიციენტების გაყიდვის პრაქტიკა დასრულდება.

**„ეს პრაქტიკა, რომელიც 2005 წლიდან დამკვიდრდა, თბილისის მერიისა და საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება. რეგულაცია გავრცელდება ყველა ნებართვასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაზე, რომელიც რეგულაციის ამოქმედების მომენტიდან იქნება მიღებული წარმოებაში.**

**ჩვენი დღის წესრიგია, რომ დედაქალაქს შევუქმნათ სწორი განვითარების პირობები. ეს მოხდება გეგმაზომიერად, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ძირითადი პარამეტრების შესაბამისად.**

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ წლების მანძილზე, კოეფიციენტების გადამეტების მავნე პრაქტიკამ ხელი შეუწყო ქალაქის დამახინჯებას და ქაოტური განაშენიანების პროვოცირებას.**



**მერიის ახალი მენეჯმენტი ერთ წელზე მეტია, რაც შევუდექით ჩვენს საქმიანობას და K2 კოეფიციენტის მატების ინსტრუმენტს უდიდესი სიფრთხილით ვეკიდებოდით, თუმცა ეს ზვავის პრინციპით აგორებული პროცესი, წლების განმავლობაში ნაგროვები პრობლემის აღმოფხვრა, მხოლოდ რადიკალური გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი, ამიტომ გადავწყვიტეთ სამართლებრივ დონეზე საერთოდ ავკრძალოთ K2 კოეფიციენტით მანიპულაციები.**

**როგორი ინოვაციური და მასშტაბური პროექტებიც არ უნდა განვახორციელოთ მომავალში, იქნება ეს სატრანსპორტო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია თუ გარემოზე ზრუნვა, ყველაფერი გაუფერულდებოდა, თუ ამის პარალელურად ხელშეუხებლად დარჩებოდა წლების განმავლობაში მიმდინარე ურბანული ქაოსი.**

**ეს გადაწყვეტილება არის დასაწყისი, ჩვენ ეტაპობრივად მოვაწესრიგებთ სამართლებრივ ჩარჩოს და უზრუნველვყოფთ თბილისის სწორად განვითარებას.**

**აქვე მინდა მადლობა გადავუხადო დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ და გვეხმარებოდნენ, თუ როგორ მიგვეღო სწორი გადაწყვეტილება, როგორ უნდა წავსულიყავით სწორი მიმართულებით. ასევე, განსაკუთრებით მინდა მადლობა გადავუხადო სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კონსულტაციებში.**

**მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სექტორისთვის ერთი შეხედვით შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ეს გადაწყვეტილება მომგებიანი არ არის, სინამდვილეში არსებული ურბანული ქაოსი საერთო ჯამში მათ ბიზნესსაც აზარალებდა. კარგია, რომ სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებმა ეს ინიციატივა ძალიან სწორად გააანალიზეს, გაიზიარეს და პრაქტიკულად ერთხმად დაუჭირეს მხარი.**

**თითოეულ თბილისელს, ჩვენი ქალაქის ყველა გულშემატკივარს კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ თუ გულწრფელები ვართ საკუთარ ქალაქზე ზრუნვაში, თუ ერთსულოვნები ვართ გამოწვევების წინაშე, ნებისმიერი პრობლემა მოგვარებადია.**

**კიდევ არაერთი საინტერესო და სასიკეთო გადაწყვეტილება გვაქვს, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის და მათ მომდევნო დღეების განმავლობაში გაგაცნობთ“**, — თქვა კალაძემ.

# თუ რუსეთი დაინახავს, რომ ქაოსი დაიწყო...



**ირაკლი კობახიძე ირწმუნება, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაშლის საფრთხე არ არსებობს, გუნდი ერთიანია და, თუ ყველა ადამიანი გვერდზე გადადებს სუბიექტურ ინტერესებს, ყველაფერი კარგად იქნება. პარლამენტის თავმჯდომარის ასეთი პათოსის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ „ოცნებაში“ ყველაფერი კარგად არ არის. ამიტომ საინტერესოა, ვინ შეიძლება დაალაგოს სიტუაცია?! ფაქტია, მდგომარეობის გამოსასწორებლად პოლიტიკაში დაბრუნებული ბიძინა ივანიშვილის ძალებსაც აღემატება ის პრობლემები, რაც „ქართულ ოცნებაში“ მოზღვავდა.**

**რას ნიშნავს მარაოსებური სტრატეგია და რატომ იქნება ეს სტრატეგია „ქართული ოცნების“ მთავარი ამოსავალი წერტილი მომავალი არჩევნებისთვის?! ამის შესახებ FOR.GE პოლიტოლოგ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იყო გარდაუვალი პროცესი, რადგან „ოცნება“ დაიბადა, გაიზარდა, განვითარდა (ან ვერც განვითარდა) და უკვე მიექანება დასასრულისკენ? რა პროცესები მიმდინარეობს „ოცნებაში“ და რატომ ამოწურა მან საკუთარი რესურსი?**

— ეს მარტო „ოცნების“ პრობლემა არ არის. საზოგადოდ, ჩვენთან „ქართული ოცნების“ პრობლემა კი არაა, არამედ მთლიანად პარტიული მშენებლობის პრობლემაა. საქართველოში ფაქტობრივად შეჩერდა პარტიული მშენებლობის პროცესი და სისტემის კუთხით სრული ქაოსია. პოლიტიკური კულტურის ისეთ დონემდე ვერ მივედით, რომ ჩამოგვეყალიბებინა სტაბილური პარტიული ინსტიტუტები.

**— საქართველოს თუ ახსოვს იდეოლოგიური მრწამსით კარგად გამართული პარტია?**

— ერთადერთი, პოლიტიკურად კარგად გამართული, იდეოლოგიური მრწამსის, პოლიტიკური მართვის სტილის, პოლიტიკური მარკეტინგის, პლატფორმის მქონე პარტია, ყველა იმ კომპონენტით, რაც კლასიკურ პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს, საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო მხოლოდ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, ისიც ბატონ გია ჭანტურიას სიცოცხლის პერიოდში, ანუ 1991-94 წლებში. ედპ საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ავანგარდში გახლდათ. სწორედ ამას დაეყრდნო თავის დროზე შევარდნაძე, როცა სახელმწიფოს მეთაური გახდა, მაგრამ პრეზიდენტობის დროს მან უკვე შეცვალა თავისი ორიენტირი, რადგან მაშინ საქართველომ პრორუსული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი აიღო.

რაც შეეხება კლასიკური პარტიული კანონებით შემდგარ პოლიტიკურ პარტიას, ანუ ედპ-ს, ეს გემოვნების საკითხია, ბევრს შეიძლება „ეროვნულ დემოკრატიული პარტია“ არ მოსწონდეს, მაგრამ ამ პარტიამ თავის დროზე დიდ წარმატებას მიაღწია. შემდეგ იყო „რესპუბლიკური პარტია“, რამდენადაც პარადოქსი არ უნდა იყოს, მას ჰქონდა თავისი იდეოლოგია, მიმართულება, ახლანდელი „რესპუბლიკური პარტია“ კი დაშლილია მარტივ მამრავლებად. სხვა პოლიტიკურ პარტიებს, დაწყებული „მოქალაქეთა კავშირიდან“, გაგრძელებული „ნაცმოძრაობით“ და დღევანდელი „ქართული ოცნებით“ ასე მკაცრად გამოკვეთილი და სისტემური პარამეტრები არ გააჩნია. ეს არის ტრაგედია, ჩვენ დაბალ პოლიტიკურ კულტურას ვავლენთ პარტიული მშენებლობის მიმართულებით.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „ოცნებაც“ და „ნაციონალებიც“ სულ მალე უმცირესობაში აღმოჩნდებიან და ხალხი მათზე უარს იტყვის? რაც შეეხება ახალ ძალას, ეს ძალაც ვერა და ვერ იბადება, რადგან მესამე ძალის რესურსი მოსპო თავად „ოცნებამ“?**

— მესამე ძალის რესურსი უკვე აღარ არის. რომელ მესამე ძალაზეა საუბარი, როდესაც მმართველ და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის სრული ქაოსია. ისინი ვირტუალურ სივრცეში იმყოფებიან. არავინ იცის, როგორ იმართება მმართველი პოლიტიკური პარტია და როგორ იმართება „ნაცმოძრაობა“. ფაქტობრივად, ამ ორიოდე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილმა გვიჩვენა სრული ქაოსი, მან თავის პოლიტიკურ პარტიას — „ნაცმოძრაობას“ ვირტუალური კომპიუტერული თამაში შესთავაზა. მისი პარტია, რომელიც, ასე თუ ისე, აწყობილია და საკუთარი ხმებიც კი მიიღო არჩევნებში, სააკაშვილმა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა. ეს პარადოქსული ვითარებაა და სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერი ჰყავს „ნაცმოძრაობას“. ბელგიის ქალაქ ლიეჟში ჩვენ ვიხილეთ მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც 8 წლის ბავშვის განვითარების დონე ჰქონდა პოლიტიკური კუთხით. ეს იყო 5-8 წლის ბავშვის ხუშტურები.

**— რადგან ლიეჟს შევეხეთ, ფაქტობრივად, ეს იყო ცარიელ დარბაზში შეხვედრა, მაგრამ ვინ მიიყვანა სააკაშვილი ასეთ ილუზიებამდე? ამაში ბრალი რამდენად მიუძღვის თავად „ოცნებას“, რომელმაც არ დაუკარგა სააკაშვილს თამაშის ხალისი?**

— სააკაშვილი თავისმა გონებრივმა შესაძლებლობამ, მენტალურმა დაავადებამ მიიყვანა ამ დონემდე, რადგან მან თავისივე პარტია „ნაცმოძრაობა“ გაღიმებული დატოვა. „ნაციონალები“ გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ, არ ელოდნენ ასეთ სიურპრიზს, რაც ლიეჟში მოხდა. ეს აშკარად ჩანდა ფრაქციის მთელი შემადგენლობის მიერ გაკეთებული განცხადებებიდან და აქაური პარტიული უჯრედებისგან, ეს იყო სრული სიურპრიზი. სააკაშვილმა შემოგვთავაზა პატი და პატაშონის ახალი ვარიანტი. მოგეხსენებათ, ეს გახლავთ ცნობილ დანიელ კლოუნთა დუეტი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ყველაზე პოპულარული იყო. ისინი მუნჯი კომედიური კინოს ლეგენდები იყვნენ. სწორედ ასეთი პატი იყო სააკაშვილი, პატაშონი კი იყო გიორგი სიგუა, ორი ავანტიურისტი. ამ ორის დუეტით ძალიან ვიხალისე. ის, რომ „ქართული ოცნება“ ამას აჰყვა და გადაუთამაშა, არასწორი იყო. რაც სააკაშვილმა ბავშვობაში ვერ ითამაშა, რაც დედამ და ბებიამ ტერორში ამყოფეს, ახლა ბავშვობის სურვილი აისრულა და პატი და პატაშონის საცირკო შოუ შემოგვთავაზა ლიეჟში. სააკაშვილისა და სიგუას ახალ შოუებს კიდევ ველოდებით.



## „რაც ბავშვობაში ვერ ითამაშა და დედამ და ბებიამ ტერორში ამყოფეს, სააკაშვილმა ახლა ბავშვობის სურვილი აისრულა“

**— დავუბრუნდეთ ისევ „ქართულ ოცნებას“. ამჯერად მოსალოდნელია, რომ თავად „ოცნების“ შიგნით გაჩნდეს ახალი ძალა, მაგრამ უნდა კი ხალხს ამ წიაღიდან შობილი ახალი ძალა? ჩვენი საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ„ოცნება“ არც არაფერს აკეთებს და არც აფუჭებს, ანუ უნიათოა, ამდენად, მის შიგნით გაჩენილი ახალი ძალა რაიმე განსხვავებულს შემოგვთავაზებს?**

— ახალ ძალასაც გააჩნია, მაინც ეს არის მმართველი პოლიტიკური ძალა. თანაც, ახალმა კონსტიტუციამ მმართველ ძალას მისცა უფრო მეტი პოლიტიკური მართვის ბერკეტი. ნებისმიერი ახალი ძალა, რომელიც შეიქმნება მმართველი პოლიტიკური ძალის წიაღიდან, შეიძლება, იყოს სერიოზული განაცხადი პოლიტიკურ ასპარეზზე. ამიტომ გააჩნია, ამ ახალ პოლიტიკურ ძალაში ვინ იქნება, როგორი კომპეტენცია და პროფესიონალიზმი ექნებათ ლიდერებს და როგორ წარმოაჩენენ საკუთარ თავს, რამდენად შეძლებენ ხარვეზების აღმოფხვრას. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები იმის საშუალებას იძლევა, რომ რამდენიმე პოლიტიკური პარტია მმართველი პოლიტიკური ძალისგან იშვას და ისინი წავიდნენ არჩევნებზე. ეს პოლიტიკურ-პარტიული განვითარების ე.წ. მარაოსებური სტრატეგიაა.

**— ბოლო დროს დაშვებული შეცდომების კასკადის შემდეგ რის იმედად ხვდება „ქართული ოცნება“ 2020 წელს?**

— როგორც ჩანს, „ოცნება“ „მოქკავშირის“ ბოლო პლატფორმაზე გადავიდა. ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ მოსამართლეთა კლანი — მურუსიძეები, გვრიტიშვილები და სხვა ნაძირალები მასზე ზეწოლას ახორციელებენ. ნურავინ შემეკამათება და ნუ მომთხოვს პოლიტკორექტულობას. როგორც პოლიტპატიმარს, მაქვს უფლება, ეს სახელწოდებები ვუწოდო კონკრეტულ მოსამართლეებს და განვაცხადო, რომ ნაძირალების კლანი აშანტაჟებს მმართველ პოლიტიკურ ძალას.

**— რით აშანტაჟებს?**

— რით აშანტაჟებს, ეს ცალკე განხილვის თემაა, მაგრამ ნაძირალების ხროვა როცა გაშანტაჟებს, ეს ნიშნავს, რომ მართვის სადავეები გაშვებული გაქვს. უკვე იწყება მართვადი ქაოსი, რაც დამახასიათებელი იყო „მოქკავშირისთვის“ 2001 წლიდან მოყოლებული.

**— თუკი დღევანდელი მოვლენები „მოქკავშირის“ ფინალს გაგონებთ, ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ, როგორც 2003-შემოვიდა ხელისუფლებაში ავანტიურისტი, ახლაც ასეთივე ავანტიურისტი გამოჩნდება, რადგან მსგავსი პროცესები,როგორც წესი, ხელს უწყობს ავანტიურისტების მოზღვავებას ხელისუფლებაში.**

— საბოლოოდ ნებისმიერი სცენარი შეიძლება განვითარდეს. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ თუნდაც საგარეო ექსპანსია განხორციელდეს რუსებისგან, ანუ სამხედრო აგრესია, ან კიდევ ანალოგიური პოლიტიკური გადატრიალება, რაც იყო 2003 წელს. მესამე სცენარია კიდევ ახალი ტიპის პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელმაც შეიძლება ქვეყანაში სიტუაციის მართვის პასუხისმგებლობა აიღოს. ამ სამივე სცენარის ალბათობა თანაბრად რეალისტურია.

რუსეთი თუ დაინახავს, რომ საქართველოში დაიწყო პოლიტიკური ქაოსი, მოირყა პოლიტიკური ინსტიტუტები და საქართველო ჩაერთო პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში, გამორიცხული არაა, აგრესიული ლიბანიზაციის პროცესი დაიწყოს. ლიბანშიც ასე მოხდა დეცენტრალიზაცია, ოღონდ ცუდი გაგებით გეოპოლიტიკური დეცენტრალიზაცია. რუსეთი ამისთვის ემზადება. არაა გამორიცხული, თურქეთიც ამისთვის ემზადებოდეს, ეს მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ და არ მივცეთ საშუალება გარეშე მტრებს, ეს საშუალება გამოიყენონ.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

## ლადო ბედუკაძე: ვაყენებ შეურაცხყოფას გვარამიას, გამოვიდეს, სადაც უნდა და გავუნგრევ თავყბას!

ციხის სკანდალური კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ემუქრება. პატიმრების წამებისთვის გასამართლებული ციხის ყოფილი თანამშრომელი ირწმუნება, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით სცემეს.

**„სხვა მტერი ამ ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა არ მყავს. სააკაშვილის სექტის წარმომადგენლები დღეს არიან მელია, გონებაჩლუნგი საზოგადოება, ვაშაძე და მსგავსი პერსონაჟები. სისულელე მოიგონეს საერთოდ. წამებული დედა, სამი წელია ჩივის, რას ჩივის. თენგიზ ნაზღაიძის დედა იცავს შვილის ინტერესებს და მე თქვენი ბინძური ტელევიზიის აზრი არ მაინტერესებს. მიმიფურთხებია თქვენი ტელევიზიისთვის. მომიკითხეთ გვარამია. ვაყენებ შეურაცხყოფას თქვენს გვარამიას, გამოვიდეს, სადაც უნდა და გავუნგრევ თავყბას“,** — განაცხადა ბედუკაძემ.

## იყენებდნენ ყალბ დოკუმენტაციას...

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი მეწარმე სუბიექტი პასუხისგებაში მისცეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წელს დანაშაულში მხილებულმა პირმა გაიმარჯვა სახელმწიფო ტენდერში, რომლის საფუძველზეც სამეგრელოს რეგიონის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის ჯამში 200 $მ^3$ შეშა უნდა მიეწოდებინა. ბრალდებულმა უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტებში გააყალბა რეალურად მიწოდებული შეშის მოცულობა და ფაქტობრივად გადაცემული 74 $მ^3$ შეშის ნაცვლად, ანაზღაურება მოითხოვა და მიიღო შეშის სრულ — 200 $მ^3$ მოცულობაზე. ამ გზით, ბრალდებული მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 7 768 ლარს.

კვალი დროში

# საქართველოში ენერგეტიკის განვითარების ღირსშესანიშნავი მოღვაწე



**დიდია** ცნობილი ჰიდროენერგეტიკის მშენებლის, უკვე 90 წელს გადაცილებული ბატონ **თამაზ ქოქოსაძის** ღვაწლი საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი ენერგოობიექტის მშენებლობის, მათ შორის უნიკალური ენგურჰესის მშენებლობის საქმეში. ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირმა გადავწყვიტეთ, ამ მცირე წერილით საზოგადოებას შევახსენოთ შესანიშნავი ადამიანის, ჩვენი სახელოვანი კოლეგის კეთილი საქმეების შესახებ და მის ღვაწლზე სამშობლოს წინაშე.

ბატონი თამაზ ქოქოსაძე დაიბადა 1928 წლის 22 ივლისს თბილისში. 1951 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოს-მშენებლის კვალიფიკაციით. 1951-1953 წწ. იყო სიონჰესის წყალსაცავის მშენებლობის ოსტატი, ტექნიკური განყოფილების ინჟინერი, მგეგმავი, დამპროექტებელი; 1953-1958 წწ. — გუმათჰესის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი, სამშენებლო უბნის, შემდეგ კვანძის უფროსი; 1958-1960წწ. — ლაჯანურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე. 1960-1963 წწ. — საქართველოს კპის ცკ-ის ინსტრუქტორი; 1963-1965 წწ. — ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველი და ერთდროულად — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი (მინისტრის რანგში); 1966-1973 წწ. იყო ამიერკავკასიის №489 ხიდმშენის სამმართველოს უფროსი; 1973-1985 წწ. — თბილისის ს. კიროვის სახელობის რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ თავმჯდომარე; 1985წ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გენერალური დირექტორის მოადგილედ.

არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. დაჯილდოებულია სამი ორდენით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

მისი მოღვაწეობის მრავალი ფაქტიდან ერთ საინტერესო მაგალითს მოვიყვანთ. მაშინდელი დასავლეთის „ყვითელი" პრესა ხშირად წერდა, რომ „პატარა საქართველო ენგურჰესის უნიკალურ მაღლივ კაშხალს ვერ ააშენებსო". ოპონენტები რომ გაეჩუმებინათ, ენერგეტიკის მინისტრმა პეტრე ნეპოროჟნიმ ეს საკითხი განიხილა ნიკიტა ხრუშჩოვთან. განხილვას ესწრებოდა ბატონი თამაზიც, როგორც მშენებლობის უფროსი. ჰესის მშენებლობისთვის დახმარების გაწევა დაევალა მთავრობის თავმჯდომარეს ნიკოლოზ კოსიგინს. გაიცა განკარგულება საბჭოთა ჯარიდან მომხდარიყო 6000 ჯარისკაცის მობილიზება. ბატონმა თამაზმა რა არ მოიმოქმედა, რომ 6000 „ლეგიონერი" ჩაენაცვლებინა ადგილობრივი მოსახლეობით და ენგურჰესი ქართველებს აეშენებინათ, რაც საბოლოოდ წარმატებით შესრულდა.

ყველაფრის ჩამოთვლა, რაც ბატონმა თამაზმა თავის ორგანიზატორული ნიჭით და ენერგიით სამშობლოსთვის გააკეთა, ძალიან ძნელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ადამიანური სიკეთე და გულისხმიერება, რაც ბევრს აკლია დღეს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანები დიდი სიყვარულით მიესალმებიან ჩვენს სახელოვან კოლეგას და უსურვებენ მას ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს თავის სათაყვანო და საამაყო მრავალრიცხოვან ქოქოსაძეებთან ერთად (აკადემიკოსი შოთა მესხია თავის სამტომეულში მიუთითებს, რომ — „ქოქოსი" იდენტურია მელიორატორობასთან, საინჟინრო ნაგებობის მოწყობა-მშენებლობასთან), რაც ბატონმა თამაზმა თავისი საქმიანობით დაამტკიცა კიდეც.

კიდევ დიდხანს გაეკეთებინოს კეთილი საქმეები, ბატონ თამაზს!

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

# მეცნიერები სწავლობენ სიყვარულს

**სიყვარული დაკვირვების ქვეშაა. მას სწავლობენ ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები, ნეირობიოლოგები და ლინგვისტებიც კი. თუმცა, პასუხებთან ერთად მეცნიერებს ახალი, პასუხგაუცემელი კითხვებიც უჩნდებათ.**

1975 წელს ორმა ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ელენ ბერშაიდმა და ელეინ ჰეთფილდმა დაიწყეს კვლევა, თუ რატომ უყვარდებათ ადამიანებს ერთმანეთი. გრანტი მეცნიერების ეროვნული ფონდიდან მიიღეს, რაზეც გავლენიანი სენატორი უილიამ ფროქსმაიერი აღშფოთდა. სენატორი თვლიდა რომ ფედერალურ გრანტს მეცნიერები ნაკლებ საჭირო თემაზე ხარჯავდნენ. **„მიანდეთ ეს საქმე პოეტებს"** — ასე მიმართა მან მეცნიერებს.



დღეს, ბერშაიდი და ჰეთფილდი სოციალურ ფსიქოლოგიაში ინტერპერსონალური მიზიდულობისა და ახლო ურთიერთობების მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პიონერებად ითვლებიან. სიყვარულის შესწავლას კი სხვადასხვა კვლევებით თანამედროვე მეცნიერები განაგრძობენ.

## სიყვარული ტკივილ-გამაყუჩებლის მაგიერ

**სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი შონ მაკქი ტკივილის მართვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა და იკვლევდა ტვინს ტკივილთან გამკლავების პროცესში. თუმცა, მოულოდნელად დაინტერესდა, რამდენად შეიძლებოდა ტკივილის რეგულირება სიყვარულის გრძნობით.**

სტენფორდში მალევე გამოჩნდა განცხადება, სადაც მეცნიერი კვლევისთვის უზომოდ შეყვარებულ წყვილებს ეძებდა. პროფესორი იხსენებდა, რომ მოხალისეების შეკრება არასდროს ასე არ გამარტივებია, რადგან მის განყოფილებაში უამრავმა სტუდენტმა წყვილმა მოიყარა თავი, რომელიც ამბობდა, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და მზად იყვნენ ექსპერიმენტისთვის. საბოლოოდ მან 15 მონაწილე შეარჩია და დაიწყო დაკვირვება.

თითოეულ მონაწილეს სთხოვა, მოეტანა საყვარელი ადამიანის ერთი ფოტო, ერთიც ვინმესი, ვინც პლატონურად, თუნდაც შორიდან მოსწონდა და ერთიც — მეგობრის. ობიექტებს მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიით დააკვირდა. მათ მსუბუქი ტკივილის გამოსაწვევად ცხელ საგანს ადებდნენ ხელზე, ამ დროს კი აჩვენებდნენ მორიგეობით სურათებს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ობიექტები უფრო დიდხანს უძლებდნენ ტკივილს მაშინ, როცა მათ წინ საყვარელი ადამიანის ფოტო იყო. პროფესორი ფიქრობს, რომ სიყვარულს ნამდვილად აქვს კავშირი ფიზიკური ტკივილის გამკლავებასთან.

## ისე როგორც კოკაინი...

**არა აქვს მნიშვნელობა, სიყვარული ახალია თუ ხანდაზმული, ამ გრძნობით ტვინში სიამოვნების მიღებაზე ორიენტირებული არეები აქტიურდება. ესეც კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგია. ბიანკა ასეველდომ და არტურ არნომ დიდი ხნის მანძილზე ქორწინებაში მყოფი, შეყვარებული წყვილების რეაქცია შეისწავლეს ერთმანეთის გამოსახულების დანახვისას.**

ასეთ წყვილებში სიყვარული ტვინისთვის თითქმის იგივე სიამოვნება აღმოჩნდა, როგორც კოკაინის მიღება, თუმცა კოკაინის მომხმარებლებისა და თუნდაც ახალი შეყვარებულებისგან განსხვავებით ტვინში არ აღინიშნებოდა შიში და შფოთი. გარდა ამისა ხანგრძლივ ურთიერთობაში ტვინის ცენტრალური ნაწილი აქტიურდებოდა, რაც მეგობრობის მსგავსად ურთიერთ ნდობისა და მჭიდრო კავშირის შეგრძნებაზე მიუთითებდა.

ასევე დო და არნო 2009 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიაში წერენ, რომ ქორწინებაში მყოფი წყვილების ბედნიერება სტრესული სიტუაციების დროს ერთგვარი ბუფერის ფუნქციასაც ასრულებს.

მეცნიერები ამბობენ, რომ სიყვარული ერთი ემოცია არაა. მასში ტვინი იმდენად კომპლექსურადაა ჩართული, რომ მისი შესწავლა ნეირო-ჰორმონალური და ემოციური თვალსაზრისით ადამიანის სხეულის შესახებ ბევრ კითხვას სცემს პასუხს. კვლევების ნაწილი კი სამეცნიერო ლიტერატურის ბესტსელერებადაც ხშირად ქცეულა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ თემას დიდი აუდიტორია ჰყავს. ანთროპოლოგი ელენ ფიშერი TED-ისთვის ჩაწერილ გამოსვლაში ამბობს, რომ მას ხშირად ეკითხებიან, ხომ არ გაუფერულდა მისთვის სიყვარული, მას მერე რაც სიღრმეებში შეისწავლა ის. ფიშერი ამბობს, რომ სიყვარული მისთვის შოკოლადის ნამცხვარივითაა, რომელიც ისევ გემრიელად ეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინგრედიენტი იცის.

**სოფო დათიშვილი**



# ბაღებსა და სკოლებში კვების დარღვევაზე სანქციები გასამკაცრებელია!



**ჯანდაცვის** მინისტრი დავით სერგეენკო პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ოთარ დანელიას საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ცხენისა და ვირის ხორცის აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოეხმაურა.

**„2012-2014 წლებში იყო ბევრი პრიორიტეტი, მათ შორის ბავშვთა კვება, რომელშიც ჩართული იყო რამდენიმე უწყება. ჯანდაცვის სამინისტრო ჩართული იყო იმ კუთხით, რომ განესაზღვრა ძირითადი კვებითი საჭიროებები და მენიუები. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ამ ყველაფრის მართვას და ლოგისტიკას, ხოლო სურსათის ეროვნული სამსახური ხარისხის მონიტორინგს არა მარტო საბავშვო ბაღებში, არამედ მთლიანად გაყიდვების ქსელში არსებულ პუნქტებში, რომლებზეც რეაგირება მოხდა. ბავშვთა კვების დარღვევა რაიმე სახით, ცალსახად მიუღებელია. სანქციები, რომელიც მიმართულია დარღვევებისკენ, შეიძლება, მართლაც საჭიროებდეს გამკაცრებას, თუმცა მონიტორინგი ცალსახად მკაცრია და ბავშვთა კვება ყველაზე მაღალი პრიორიტეტი უნდა იყოს",** — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

# პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან 61 თანამშრომელი გაათავისუფლეს

**პრეზიდენტის** ადმინისტრაციიდან 61 თანამშრომელი გაათავისუფლეს. როგორც სალომე ზურაბიშვილის პრესსპიკერი ხატია მოისწრაფიშვილი აცხადებს, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს.

**„61 საჯარო მოხელე გადავიდა მობილობის სქემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შესახებ სახელობითი ინფორმაცია, დოკუმენტაცია, გადაეგზავნება საჯარო ბიუროში და უკვე ერთი თვის განმავლობაში საჯარო ბიურო ეცდება, შესთავაზოს, ბუნებრივია, საჯარო სივრცეში კვლავაც, მათთვის სასურველი და შესაბამისი პოზიციები. ყველა, ვინც არ მიიღებს ან ვერ დააკმაყოფილებს ახალ შეთავაზებებს, მიიღებენ კომპენსაციას",** — აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.



# ჰოკინგის მანიფესტი

**თანამედროვეების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მეცნიერი სტივენ ჰოკინგი 2018 წელს გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი წიგნზე „მოკლე პასუხები დიდ შეკითხვებზე“ მუშაობდა, რომელიც შთამომავლობისადმი მისი ერთგვარი გზავნილია. ამ უკანასკნელ ნაშრომში ჰოკინგი იმ კითხვებს სცემს პასუხს, რომლებსაც მას ხშირად უსვამდნენ. გთავაზობთ რამდენიმე საგულისხმო ამონარიდს ამ ბოლო წიგნიდან.**

## საკუთარი თავის შესახებ

**მინდოდა, დიდი მეცნიერი გავმხდარიყავი, მაგრამ სკოლაში ყველაზე ბეჯითი მოწაფე არ ვყოფილვარ, საშუალოზე ოდნავ უკეთ ვსწავლობდი: საშინაო დავალებებსაც ჰაიჰარად ვაკეთებდი და არც ხელწერა მივარგოდა.** სამაგიეროდ საუცხოო მეგობრები მყავდა, ვისთანაც უამრავ საინტერესო რამეზე, მათ შორის სამყაროს წარმოშობაზე ვსაუბრობდით. სწორედ მაშინ დამებადა ოცნება და მოხარული ვარ, რომ ის ამისრულდა.

## დადამიწის მომავლის შესახებ

**მზე გაიბერება და შთანთქავს დადამიწას. დროის ის მონაკვეთი, როდესაც ეს მოვლენა შეიძლება მოხდეს, მზის არსებობის ხანგრძლივობითაა განპირობებული და 10 მილიარდ წელს შეადგენს.** ამ ხნის მანძილზე გონიერმა სიცოცხლემ პოტენციურად კოსმოსში მოგზაურობები უნდა აითვისოს, რათა სხვა ვარსკვლავისკენ გადაბარგება შეძლოს. მაგრამ თუკი გაქცევა შეუძლებელი გახდება, დედამიწაზე სიცოცხლე განწირულია.

თუ ადამიანთა მოდგმა საკუთარი თავის გარდაქმნას შეძლებს, ანდა სულაც მოსპობს თვითგანადგურების რისკს, იგი განსახლებასა და სხვა პლანეტებისა და ვარსკვლავების კოლონიზებას შეძლებს. მაგრამ შორეული კოსმოსური მგზავრობები დიდი საფრთხის მქონე იქნება ქიმიურ პროცესებზე დაფუძნებული სიცოცხლის ფორმებისთვის. ამ შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობა მგზავრობის დროზე გაცილებით ხანმოკლე იქნება. ფარდობითობის თეორიის თანახმად, არაფერს არ შეუძლია სინათლის სხივზე სწრაფად გადაადგილება, ამიტომ უახლოეს ვარსკვლავებამდე გადაფრენას, სულ მცირე, 8 წელი, გალაქტიკის ცენტრამდე მიღწევას კი დაახლოებით 50 ათასი წელი დასჭირდება.

## წარსულში მოგზაურობების შესახებ

**მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ ჩვენ შევძლებთ „თხუნელების სოროების“ შექმნას, ანდა ვისწავლით სივრცის გამრუდებას ისე, რომ წარსულში მოგზაურობა შეგვეძლება.** მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად წარმოიშვება მთელი რიგი საკითხი და პრობლემა. მაგალითად: **თუკი მომავალში წარსულში მოგზაურობა შესაძლებელი გახდება, რატომაა, რომ დღემდე ჩვენთან მომავლიდან არავინ ჩამოსულა** და არ უამბნია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

## ღმერთის შესახებ

**რელიგია, არსებითად, იმის პირველი მცდელობა იყო, გვეპასუხა ყველასთვის საინტერესო კითხვებზე: რატომ ვართ აქ, საიდან გავჩნდით? უწინდელ დროში პასუხი თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე იყო: ყველაფერი ღმერთების შექმნილია.** ჩვენ დროში მეცნიერება უფრო გასაგებ და დამაჯერებელ პასუხებს იძლევა. მაგრამ ბევრი კვლავინდებურად რელიგიას მისდევს, რადგან ასე თავს უფრო კომფორტულად გრძნობს — ამ ხალხს მეცნიერებისა ან არ ესმის, ანდა არ ენდობიან მას.

მაგრამ მე ღმერთის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. **არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ჩემი ნაშრომი ღმერთის ან არსებობის, ანდა არარსებობის მტკიცებაზეა მიმართული.** ჩემი ნამუშევარი ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს რაციონალური სისტემის გაგებაში მდგომარეობს.

არანაირი სურვილი არა მაქვს, ვინმეს ვუკარნახო, თუ რისი უნდა სწამდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ღმერთის არსებობის საკითხი მეცნიერებისთვის სავსებით კანონზომიერია. ბოლოს და ბოლოს ძნელია იმაზე უფრო ფუნდამენტური საიდუმლოს წარმოდგენა, ვიდრე ის, თუ რამ ან ვინ შექმნა სამყარო და მართავს მას.

მეც აინშტაინივით გამოვიყენებ სიტყვა „ღმერთს“ გაუსახიერებელი შინაარსით და მას ბუნების კანონებს დავუკავშირებ, ვინაიდან უფლის ჩანაფიქრის ჩაწვდომა — ეს ბუნების კანონების გაგებას ნიშნავს. დასაშვებად მიმაჩნია, რომ ღმერთის ჩანაფიქრის ჩაწვდომას ჩვენ უკვე ამ საუკუნის მიწურულისთვის შევძლებთ.

## ხელოვნური ინტელექტის შესახებ

**როცა კი ხელოვნური ინტელექტი თვით სრულყოფას ადამიანის დაუხმარებლად შეძლებს, მისი შესაძლებლობები ჩვენზე ისევე მეტი გახდება, როგორც ახლა ჩვენი ინტელექტი ლოკოკინისას აღემატება, შესაძლოა უფრო მეტადაც. ამიტომაც ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ კომპიუტერთა მიზნები ჩვენსას ემთხვევა.**

ხელოვნური ინტელექტის გაჩენა შესაძლოა კაცობრიობის ისტორიაში ან უდიდესი, ანდა ყველაზე საშინელი მოვლენა გახდეს. ჩვენ ხელოვნური ინტელექტის ბოროტი ზრახვებისა კი არა, მისი კომპეტენტურობისა უნდა გვეშინოდეს. ბუნებრივ ინტელექტს ზეამოცანების მიღწევა შეუძლია, ამიტომაც თუკი ისინი ჩვენი მიზნებისგან განსხვავებული იქნება, მაშინ ძალიან გაგვიჭირდება: ჭიანჭველების ბუდის დასარბევად აუცილებელი არ არის ჭიანჭველათა მოძულე იყო. ამიტომაცაა, რომ პროგნოზირების გარეშე ყოფნა ყოვლად შეუძლებელია. მომავალში კაცობრიობას გამუდმებული შეჯიბრი ელის მზარდ ტექნოლოგიურ სიმძლავრესა და იმ სიბრძნეს შორის, რომლითაც ჩვენ ამ ძალას გამოვიყენებთ. ამიტომაც ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სიბრძნემ გაიმარჯვოს.

## უცხოპლანეტელების შესახებ

**თუკი ჩვენი გათვლები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ სწორია, მაშინ სადღაც კოსმოსში ისეთი ვარსკვლავებიც უნდა არსებობდნენ, რომლებსაც დასახლებული პლანეტები აქვთ. ზოგიერთი პლანეტარული სისტემა დედამიწაზე 5 მილიარდი წლით ადრე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო — ამიტომ გასაკვირია, რატომ არ ჩამოსულა ჩვენთან არავინ?**

სავსებით შესაძლებელია, რომ სიცოცხლის ჩასახვის ალბათობა იმდენად მცირეა, რომ დედამიწა გალაქტიკაში სულაც ერთადერთი პლანეტა იყოს, რომელსაც ასე გაუმართლა. მეორე ვარიანტი ისაა, რომ სადღაც კოსმოსში სიცოცხლე კი წარმოიშვა (ვთქვათ, ერთუჯრედიანი არსებები), მაგრამ ეს ფორმა ინტელექტამდე ვერ განვითარდა. ჩვენ მივეჩვიეთ იმის ფიქრს, რომ ინტელექტის გამოვლენა ევოლუციის აუცილებელი შედეგია, თუმცა კი დანამდვილებით ამის მტკიცება არ შეგვიძლია. როგორც ჩანს, **ევოლუცია მაინც შემთხვევითი პროცესია, რომელშიც ინტელექტის გაჩენა უამრავი შესაძლებლიდან მხოლოდ ერთი ვარიანტია.**

განვითარების კიდევ ერთი ვერსია იმაში მდგომარეობს, რომ სიცოცხლის გონიერი ფორმების განვითარების ალბათობა არც მაინცდამაინც მცირეა, მაგრამ გონიერი არსებები უაღრესად არასტაბილურ სისტემას ჰქმნიან, რომლებიც ადრე თუ გვიან საკუთარ თავს სპობენ. ეს უაღრესად პესიმისტური ვარიანტია და მე იმედს ვიტოვებ, რომ ის მცდარია.

მე უფრო მეტად სხვა ვარიანტს ვივარაუდებდი: იქნებ არსებობს სიცოცხლის სხვა ფორმებიც, მაგრამ ჩვენ მათ უბრალოდ ვერ ვამჩნევთ?!

## ახალი გამოწვევების შესახებ

**იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა კითხვის პასუხი გვეცოდინება, მაგრამ დედამიწაზე კიდევ სხვა გამოწვევები, სხვა სერიოზული საკითხები გაჩნდება გადასაჭრელი. მაგალითად, როგორ გამოვკვებოთ სულ უფრო მზარდი მოსახლეობა, როგორ ვუზრუნველვყოთ ყველანი სუფთა წყლით, როგორ მივიღოთ განახლებადი ენერგია, როგორ განვკურნოთ სნეულებები, როგორ შევანელოთ გლობალური დათბობის პროცესი? ყველაზე უშუალო საფრთხეა კლიმატის ცვლილების სწრაფი პროცესები.** ოკეანეებში წყლის ტემპერატურის მატება ყინულების დნობასა და ნახშირმჟავა გაზის გამოყოფის მოცულობას ზრდის, რის შედეგად დედამიწაზე ვენერას მსგავსი კლიმატი იქნება, ოღონდ ტემპერატურა ცელსიუსის +460 გრადუსი იქნება!

იმედს ვიტოვებ, რომ **მეცნიერება და ტექნიკა ყველა კითხვაზე პასუხების გაცემას შეძლებს, მაგრამ საამისოდ განათლებული და კომპეტენტური ხალხია საჭირო.** ჩვენ ყველანი დროში მოგზაურები ვართ, ჩვენ გზას მომავალში მივყავართ. ამიტომაც ცნობისმოყვარენი და გაბედულნი უნდა ვიყოთ და მაშინ ყველაფერი გამოგვივა.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძე**

## დიაგნოზი 97 პროცენტით...

ახალშობილებში, მცირეწლოვან ბავშვებში, ან ისეთ პაციენტებში, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ჩივილებს ვერ აღწერს, სწორი დიაგნოზის დასმა რთულია. ამერიკელმა და ჩინელმა ექიმებმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს და დიაგნოზის დასმის პროცესში ხელოვნური ინტელექტი ჩართეს. ინფორმაციას ამერიკის ხმა ავრცელებს.

კანგ ჟანგმა კალიფორნიის უნივერსიტეტის სანდიეგოს ფილიალიდან, 70 მეცნიერთან ერთად, კომპიუტერულ სისტემაში ჩინეთის ერთ-ერთი დიდი კლინიკის 1.3 მილიონი 18 წლამდე ასაკის პაციენტის ინფორმაცია შეიყვანა და რობოტი დიაგნოზის დასმაში გაწვრთნა. ინფორმაციის დამუშავების შემდეგ, რობოტს პაციენტებისთვის დიაგნოზის დასმა დაავალეს, შედეგი კი ექიმების მიერ დასმულ დიაგნოზს შეადარეს. გაირკვა, რომ რობოტმა ვირუსული გრიპის (ინფლუენზის), ინფექციური მონონუკლეოზის, ჩუტყვავილის, კიდურებზე და პირსახეზე სხვადასხვა ტიპის გამონაყარის დიაგნოზი 90-დან 97 პროცენტამდე სიზუსტით დასვა. რაც შეეხება უფრო რთული ტიპის დაავადებებს, მაგალითად ბაქტერიული მენინგიტი, რობოტმა პედიატრმა დიაგნოზი 93%-იანი სიზუსტით, კუჭ-ნაწლავის დაავადებების დიაგნოზი კი 85%-იანი სიზუსტით დასვა. კვლევის ავტორები ამბობენ, რომ ხელოვნური ინტელექტი, საჭირო ინფორმაციის შეყვანის შემდეგ, დიაგნოზს ზრდასრულ პაციენტებშიც ასეთივე წარმატებით დასვამს.

## „სითხის დეპო“

ზოგიერთ მარტივ ყოველდღიურ ჩვევას თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაც შეუძლია და სიცოცხლის გახანგრძლივებაც. მაგალითად, ყოველი დღის დაწყება ჭიქა წყლით.

ეს ქმედება ორგანიზმში ეგრეთ წოდებული „სითხის დეპოს“ შექმნაში დაგეხმარებათ, რომლიდანაც ორგანიზმი, საჭიროების შემთხვევაში, სითხის მიღებას შეძლებს. დღის განმავლობაში „წყლის მარაგის“ შევსებაც არ უნდა დაგავიწყდეთ.

სითხის დახმარებით სხეულის უჯრედებში ვიტამინები და მიკროელემენტები ხვდება, წყალი საჭიროა ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მწყობრი მუშაობისთვის, იგი მალებშუა დისკოებსა და სახსრებს კვებავს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ **მეცნიერები წყალს ახალგაზრდობის წყაროდ მიიჩნევენ!** მათი აზრით, სიბერე უჯრედებში სითხის დეფიციტთან პირდაპირაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად სითხის ოდენობა ორგანიზმში იკლებს, წყურვილის შეგრძნებაც სუსტდება და ორგანიზმი „გამოშრობას“ იწყებს.



# „ცხოვრებაში ყოველთვის ვერ ირჩევ, ზოგიერთი შენ გირჩევს“



**ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი**

*ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა*

## ელისაბედი და მაიკლ უაილდინგი – 1952 წელი



ვაჟებთან – მაიკლთან და ქრისტოფერთან

**უნდა ითქვას, რომ ელისაბედი ცრუმორწმუნე არ ყოფილა, რამეთუ მეორე ქორწინების ზარ-ზეიმი „Bel Air“-ად სახელდებულ სასტუმროში აღნიშნა, სადაც პირველი ქორწილი ჰქონდა. თუმცა, ამჯერად პირველთან შედარებით მეორე ქორწინება ბევრად უბრალო იყო: ელისაბედს მოკრძალებულად ეცვა, თმას ყვავილები უმშვენებდნენ.**

მეორე ქორწინებამ სიმშვიდე მოუტანა მსახიობს, იგი კმაყოფილი იყო ოჯახური ცხოვრებით, ბევრს მუშაობდა, გადაღებებს შორის კი ორი ბიჭი გააგორა – მაიკლი და ქრისტოფერი.

ამასთანავე, ელისაბედს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა მოემზადებინა სადილი, როგორ უნდა დაელაგებინა ბინა და რა პროვიზია უნდა ეყიდა, რაც მაინცდამაინც ძალიან არ ანაღვლებდა.

„ჩვენი ბინა სულ დაულაგებელია, – ამბობდა უაილდინგი, – იმისთვის სულ ერთია, სად რას მოისვრის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქარიშხალი დაგვატყდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქარიშხალს ელისაბედსავით ყველაფრის ყირამალა დაყენება არ ძალუძს“.

უაილდინგი მოთმენით კი ითმენდა ცოლის ბელეშობას, მაგრამ ვერა და ვერ მიეჩვია იმის დაუდევრობას.

„ვერაფრით ვერ გამიგია, აგრერიგად რატომ არა აქვს დროის გრძნობა, – ამბობდა იგი, – როგორც ჩანს, ასეთად დაიბადა“.

ხუთი წლის შემდეგ წყნარმა ოჯახურმა ბედნიერებამ თავი მოაბეზრა ელისაბედს, და 1957 წლის იანვარში უაილდინგს გაშორდა. „აპათია აუცილებლად ჩნდება ყოველდღიური ერთფეროვნებისგან. ადრე თუ გვიან დგება ისეთი მომენტი, როცა თავი უნდა დააღწიო ამგვარ მდგომარეობას“, – თავს იმართლებდა ელისაბედი.

თვითონ მაიკლ უაილდინგი კი იტყვის ელისაბედზე: „ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები... მაგრამ ვერ გამიგია, რად უნდათ ასეთ ლამაზმანთ ამდენი კოსმეტიკა!“

## ელისაბედი და მაიკლ ტოდი – 1957 წელი

**მაიკლ უაილდინგთან გაყრის მერე ელისაბედ ტეილორი უქმროდ რეკორდულად მცირე დრო იყო – სულ 3 დღე. ელისაბედის მესამე ქმარი გახდა პროდიუსერი მაიკლ ტოდი. იგი 24 წლით უფროსი იყო „ჰოლივუდის ვარსკვლავზე“. შეიძლება ვარაუდი, რომ ასაკში სხვაობის წყალობით მსახიობი თავისივე სიტყვებით, ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდა.**

მაიკლი მკაცრად, უხეშად და მბრძანებლურად ექცეოდა. სწორედ ეს აკლდა ელისაბედს უაილდინგთან და სხვა მამაკაცებთან ურთიერთობაში. ელისაბედს მართლა შეუყვარდა მაიკლი და მოურიდებლად გადაუშალა გული. გრძნობა იმდენად ნალოდინევი და ძლიერი იყო, რომ ელისაბედს სულაც აინუნშიაც არ მოსდიოდა, ჯერ ისევ ქორწინებაში რომ იყო, ხოლო მაიკლი უკვე დანიშნული, ქორწილს დღე-დღეზე რომ გეგმავდა.

„ის იყო ჩემს ნამდვილ მამაკაცთაგან ერთ-ერთი“, – ამბობდა ელისაბედი თავის მესამე ქმარზე, რომელიც რაღაცით მამამისს ჩამოჰგავდა როგორც ტიპი თავისი ხასიათით. მაიკლი მარჯი ჰოლივუდელი პროდიუსერი იყო, ფრიად თავისებური და გულღია, ცნობილი თავისნათქვამა და სულგრძელი. თვითონ ელისაბედი იმის თავაწყვეტილობას „უგუნურ ახირებულობას“ ეძახდა, ხოლო თავიანთი წარმოუდგენელი ურთიერთობის ვნებათა სიმძაფრეს – „დაძაბულ ლტოლვას“.

თვითონ მაიკლი თავიდან დაძაგრული იყო ელისაბედთან რომანის მიმართ. „თუ მსახიობ ქალთან ცხოვრობ, მუდმივად ღელავ, ემანდ თმა არ ავუწეწოო, – ამბობდა იგი. – ხოლო როს მკერდი ჩამოეკიდება, ეგრევე შეირეკება და ფსიქიატრთან გაიქცევა. მსახიობ ქალზე ჩემს დღეში არ დავქორწინდები“.

აი, რატომ გადაწყვიტა ელისაბედმა იმხანად კინემატოგრაფის მიტოვება.

„ალბათ, აღარასოდეს ვიმსახიობებ კინოში, – განაცხადა მან, – მე მაიკლ ტოდის ცოლობა მინდა, აი, რატომ მინდა კინოს მიტოვება, უფრო სწორად, უნდა მივატოვო. ოჯახი, ქმარი, ნამდვილი ცოლ-ქმრობა ჩემთვის ბევრად მეტს ნიშნავს“.



მაიკლ ტოდის დაღუპვის ადგილი

მაიკლი ისე განაცვიფრა ელისაბედის თვითგანწირვამ, რომ ეგრევე ხელი სთხოვა. ამგვარად, გადაწყვიტა თავისი პრინციპების ღალატი. კინოვარსკვლავზე დაქორწინება ახლა უკვე ცუდ საქმედ აღარ ეჩვენებოდა.

თუმცაღა ელისაბედის დედა სარა ტეილორი ამ ამბავმა ვერ გაახარა: ტოდი ებრაელი იყო, სარა კი ებრაელებს ვერ იტანდა და, ცოტა არ იყოს, სძულდა კიდეც. ტოდმა სასიდედროს ანტისემიტურობა რომ შეატყო, დიდად კმაყოფილი დარჩა, ჩუმ-ჩუმად კბენდა და გადაკრულ-გადმოკრული სიტყვით აღიზიანებდა.

მსახიობის მესამე ქორწინება აკაპულკოში შედგა. თავისი „დიახ“ ახალგამოჩეკილმა მეუღლემ ღრმად გაღვლიაჭებულ, გულამოჭრილ თეთრად აჭავლებულკაბიანმა და სადა ფატიანმა წარმოთქვა. სამკაულთაგან პატარძალს იმ დღეს მხოლოდ საყურეები ეკეთა.

ასე და ამგვარად, მარჯი ჰოლივუდელი პროდიუსერი მაიკლ ტოდი ელისაბედ ტეილორის მესამე ქმარი გახდა. თავიანთი თანაცხოვრების პირველი ექვსი თვე ნეფე-დედოფალმა სრულ ნეტარებაში გაატარა: მაიკლმა სუყოველი საქმე მიატოვა და მუდმივად ელისაბედის გვერდით ტრიალებდა.

მაიკლს ძალიან უყვარდა თავისი უღელტოლი და ძვირფას საჩუქრებს არ აკლებდა, იმისგან მსახიობმა უარი რა იყო, არ იცოდა. ამასთანავე მაიკლი გვარიან რეკლამას უწევდა სუყოველ თავის საჩუქარს.

„ეს ინგლისური სახის თოჯინა სულ სამი წლით იყო ჩემს ვაჟზე უფროსი. მაიკლ ტოდ-უმცროსი, – ეუბნებოდა იგი პრესას. – მაგრამ ის ყოველმხრივ ქალია, რაც კი მაბადია, მარტო იმას ეკუთვნის. ეს კი, სხვათა შორის, კარგა გვარიანი ქონებაა“.

პირველ ხანებში ელისაბედი გადაღებებში არ მონაწილეობდა, რადგან მშვიდად ელოდა მოლოგინებას, რაც 6 აგვისტოს დაეწყო და მძიმედ მიმდინარეობდა. ახალშობილი გოგოცუნა 14 წუთი არ სუნთქავდა, ხოლო ელისაბედს სისხლდენას ვერ უჩერებდნენ.

სანამ ელისაბედი ნარკოზისგან გათანგული იყო, ექიმმა მაიკლს უთხრა, შემდეგი ფეხმძიმობა ელისაბედისთვის ვაითუ მომაკვდინებელი გამოდგესო, და მაიკლმა ექიმებს სტერილიზაციის ნება დართო. ელისაბედი ცნობას როს მოვიდა და გაიგო, რომ შვილი აღარ გაუჩნდებოდა, სინანულით წარმოთქვა: „მთელ ჩემს ცხოვრებაში ეს ყოვლის უფრო საშინელი დარტყმა იყო. ეს სიკვდილზე უარესია“. მაიკლი იმდენად მზრუნველი და ალერსიანი იყო, რომ ელისაბედმა აპატია ეს გადაწყვეტილება. ელისაბედს ისე უყვარდა ტოდი, როგორც ადრე არცვინ არ ჰყვარებია. მით უმეტეს, რომ უკვე ჰყავდნენ ვაჟები ქრისტოფერი და მაიკლი, ახლა კი პატარა ლიზიც შეეძინა.

ელისაბედისა და ტოდის ქორწინება ბედნიერი და შეხმატკბილებული იყო, მაგრამ აგრეთვე არც შფოთიანობა აკლდა. ერთად ყოფნის მთელი დრო ტკბილად შესქესებულნი იყვნენ. ჩხუბით კი, თუ შეიძლება ასე თქმა, ტკბილად ჩხუბობდნენ, როცა კი ურთიერთდამოკიდებულებას არკვევდნენ. „არა მგონია, რომ ბევრი ცოლ-ქმარი ახერხებდეს აგრერიგად განცხრომილ ჩხუბს“, – ამბობდა ტოდი.

ელისაბედს, როგორც უკვე ითქვა, არ უნდოდა კინემატოგრაფში დაბრუნება, მაგრამ მაიკლი წინააღმდეგი იყო – „არა, – ამბობდა იგი, – „ჩემმა გოგომ“ ეკრანზე უნდა იბრწყინოს“.

ჰოლივუდში გავლენისა და კავშირურთიერთობის წყალობით, ელისაბედმა რამდენიმე ფილმში იმონაწილევა, რასაც დიდი სახელგანსმენილობა მოჰყვა.

მაიკლ ტოდს უყვარდა ცოლის პატივსაცემად ნადიმ-წვეულებათა მოწყობა, რასთან დაკავშირებითაც სპილოებს იწერდა ინდოეთიდან და აფრიკიდან.

ერთად ცხოვრების წლებში მაიკლმა ელისაბედს უსაჩუქრა დეგას სურათების კოლექცია, დიუმნახევარი დიამეტრის 30-კარატიანი ბრილიანტი, „როლს-როისი“, აგრეთვე ცნობილი ბრილიანტის დიადემა – რათა მზეთუნახავ ელისაბედს აუზში იმით ეცურავა. ცოლ-ქმარს შორის ვნების ჭიაკოკონა ენთო, ისინი პირდაპირ აღმერთებდნენ ერთმანეთს.

ტოდი ელისაბედის შვილებსაც ანებივრებდა, მან ელისაბედი თავის ნაცნობთა წრეს გააცნო, ამ წრეს ეკუთვნოდა ცოლ-ქმარი – მომღერალი ედი ფიშერი და მსახიობი დები რეინოლდსიც. წყნარი დები სრულიად განსხვავებული იყო ვნებიანი ელისაბედისგან, მაგრამ ქალები მაინც დამეგობრდნენ.

თუმცაღა ოჯახური ბედნიერება 1958 წლის 22 მარტს მომხდარი ტრაგედიის გამო დაინგრა. ტოდი ნიუ-იორკში კერძო თვითმფრინავით გაფრინდა. თვითმფრინავს მეუღლისა და ქალიშვილის პატივსაცემად „ბედნიერი ლიზი“ ერქვა. ტოდი იმ ზეიმს უნდა დასწრებოდა, რომელსაც „ფრაიერს კლუბი“ უმართავდა. ელისაბედიც აპირებდა ქმართან ერთად გაფრენას, მაგრამ წინა დღეს საშინლად გაცივდა და ტოდმა დაწოლა ურჩია. ის აეროპორტიდან დაუკავშირდა ელისაბედს და ოკლაჰომიდან დარეკვას დაჰპირდა, სადაც თვითმფრინავი ბენზინგასამართად უნდა დამჯდარიყო. თუმცა, ნიუ-მექსიკოს მთებში თვითმფრინავი ჭექა-ქუხილში მოხვდა და ჩამოვარდა. გადარჩენით არავინ არ გადარჩენილა, ელისაბედს ქმრის გამდნარი ოქროს ბეჭედი დაუბრუნეს, რომლის მიხედვითაც მოხერხდა ტოდის ნეშტის ამოცნობა.

საყვარელი ქმრის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, ელისაბედი ლამის ჭკუიდან შეიშალა. მდუღარებისგან თვალებდასიებული და ხმაჩახრინწული ელისაბედი კუბოს იყო დამხობილი. სასაფლაოზე ბევრმა ცინიკოსმა მოიყარა თავი სეირის საყურებლად – თუ როგორ მარხავდა ქმარს ცნობილი მსახიობი. როცა ელისაბედი მანქანაში ჩაჯდა, მოსეირეები ავტოგრაფებისთვის მისცვივდნენ.

მაიკლ ტოდი ელისაბედთან თავის ქორწინებაზე ამბობდა: „ჩვენ პატარა წვეულებები გვიყვარდა, მაგრამ ყველაზე უკეთესად თავს მარტონი ვგრძნობდით, ჩვენი ქორწინების იუბილეს ყოველ შაბათს აღვნიშნავდით... მე მივეჩვიე ფსონის ჩასვლას და მზად ვიყავი სანაძლეოსთვის, რომ ჩემი და ელისაბედის კავშირი მარადიულად გაგრძელდებოდა“.



ელისაბედი და მაიკლ ტოდი.

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32



# ბროკოლი, როგორც სამყაროს შემეცნების საშუალება

ამ რამდენიმე დღის წინათ, სოციალურ ქსელში საკმაოდ ლამაზი აქცია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლები თავიანთი ბავშვობის ფოტოებს დებდნენ.

აქციამ დიდი მოწონება და გამოხმაურება პოვა. შავ-თეთრი ფოტოები მნახველებში სითბოს და თბილ მოგონებებს იწვევდნენ.

საოცარია, მაგრამ ეს ჩელენჯი ნამეტნავად არ მოეწონა სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტს, „რუსთავი-2“-ის „ლიტერატურული“ გადაცემის ერთ-ერთ წამყვანს ქეთი დევდარიანს.

„ძალიან შევწუხდი თქვენი ბავშვობის სურათებით. შემოვდივარ ფეისბუქზე, მინდა სამყარო შევიმეცნო, სიახლეებს გავეცნო, ვიყო ორიგინალური და მოვფინო ეს ორიგინალობა სხვებსაც, მაგრამ არა! ყველგან ეს საბჭოთა და პოსტსაჭოთა ბროკოლდეფიციტური სახეები!“ — წერს ქეთი დევდარიანი.

თუ ამ „გამოხმაურებას“ სერიოზულად აღვიქვამ, რა უნდა ვთქვა იმის გარდა, რომ ადამიანი, რომელსაც საკუთარი შინაგანი კომპლექსების და მათგან გამოწვეული ბოლმის გამოსახატად სიტყვა „ბროკოლდეფიციტური“ მოუვა თავში, უბრალოდ ცოდოა.

საბედნიეროდ, ნამდვილად არ შეიძლება სერიოზულად აღიქვა მისი მსგავსი არსებების „აზრები“. არ შეიძლება, რადგანაც მის „სასტავს“ მართლა სერიოზული კომპლექსები აქვთ. „ღადაობის“ დროსაც კი (იყო გამართლების მცდელობა — „იღადავაო“), საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცის ხსენება და მასზე აპელირება, ზუსტად იგივე გამოძახილია, რაც ერთხელ მართლაც ნიჭიერმა პაროდისტმა, მაგრამ კომპლექსიანმა გია ჭანტურიამ ერთ-ერთ გადაცემაში თქვა — თქვენ სანატორიუმებში ისვენებდითო, რაზეც ბატონმა ვაჟა აზარაშვილმა ღირსეული პასუხი გასცა.

თუ დავაკვირდებით, მათ „ღამურას სინდრომი“ აქვთ. ინტელექტი და შინაგანი კულტურა არ ყოფნით, ამის გამო „გოიმობის სინდრომისგან“ ვერ გამოდიან და ამიტომ იბოღმებიან („ნანუკა“ ჟორჟოლიანი, „მაიკო“ ასათიანი, გვარამია, გაბუნია, ე.წ. არასამთავრობოელები დ.ა.შ.)

ცდილობენ, გროტესკით გვაჩვენონ რეალობა, მაგრამ ისიც ნათლად ჩანს, რომ გროტესკი ბოღმაში გადასდით. ეს არასრულფასოვნების კომპლექსის გამოხატვა უფროა, რაც მსგავს ადამიანებს მუდმივად თან სდევთ.

იპოვეს თბილი ადგილი, მაკდონალდსში ჭამა ევროპელობა ჰგონიათ და რეალურად კი არ სტკივათ, რაც მართლა სატკივარია, ბოღმით ამბობენ სათქმელს. რეალურ მიზეზს ვერ ხედავენ, იპოვეს მარტივი გამოსავალი — „რუსეთი“, „საბჭოთა“ და ამ სიტყვებს ატრიალებენ. უკვე განაჩენი აქვთ გამოტანილი იმათ მიმართ, ვისიც არ ესმით. მონღოლებივით არიან, რაც არ ესმით, უნდა გაანადგურონ. ეგაა და ეგ.

სამწუხაროდ, ისინი, ვისაც ხელეწიფება საზოგადოების განათლებაზე, კულტურაზე, შინაგან სამყაროზე ზრუნვა, ან თავად არიან „ბროკოლიჭამიები“, ან თავადაც არასრულფასოვნების კომპლექსის გამო, მონურ მორჩილებას განიცდიან მიHას მიერ შექმნილი “სამყაროს ახლებურად შემეცნების“ მიმართ.

ბევრს არ გავაგრძელებ და თქვენ მოგმართავთ, ჩემო მკითხველო: გაიღვიძეთ „ბროკოლდეფიციტურებო“, „დასწაევსკიზე“ და ბითლზებზე გაზრდილებო, ფეისბუქზე სამყაროს შეუცნობელებო, ჩარეცხილებო, 37 მანათად მოსკოვებში გაფრენილ-გამოფრენილებო, ადექით, დაინგრა ქვეყანა!!!

**გია გაბრიჭიძე**

დანართი №1 (9 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „15“ თებერვლის
№ 01-03-3/76 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.ბათუმი, ოპიზრების ქ.N67 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 10 000 | 168.00 | 250,00 |
| 2 | ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქ.N2 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 90 000 | 1 509,00 | 550,00 |
| 3 | ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N368 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 3 650 | 62,00 | 220,00 |
| 4 | ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N296 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 5 000 | 84,00 | 230,00 |
| 5 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გვარა | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 1 825 | 31,00 | 210,00 |
| 6 | ქ.ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩის პირველი შესახვევიN4 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება ორ ჭაბურღილზე სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 74 000 | 1 224,00 | 500,00 |
| 7 | დაბა ხელვაჩაური, წერეთლის ქ.N4 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 54 750 | 918,00 | 400,00 |
| 8 | ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N45ა | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 11 000 | 185.00 | 250,00 |
| 9 | ქ.ბათუმი, | მიწისქვეშა მტკნარი წყლის | $P_2$ | 5 წელი | 3 650 | 62,00 | 220,00 |
| | მეჯინისწყლის დასახლება, წერეთლის ქ.N4 | მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | | | | | |
| 10 | დაბა ხელვაჩაური, მემედ აბაშიძის ქ.N5 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 5 წელი | 1 092 | 18,40 | 205,00 |
| 11 | ქ.ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | $P_2$ | 3 წელი | 3 650 | 42,00 | 210,00 |
| 12 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N102 | მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით | P | 3 წელი | 3 650 | 42,00 | 210,00 |
| | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; | | | |
| | | | | თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. | | | | |
| 13 | ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბალაძეები | მინერალური წყლის მოპოვება ჩამოსხმის მიზნით | P | 10 წელი | 3 650 მ³ | 10 000,00 | 2 200,00 |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | | 1. ვინაიდან მინერალური წყლის (წყაროს) ნაწილი ლიცენზირებულია, წყლის მოპოვება უნდა მოხდეს ლიცენზიანტებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.<br>2. სალიცენზიო პირობები:<br>ა) მოპოვებული მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და შესაბამისად აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაუშვას მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა | | | | |
| | | | და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>თ) ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებეტზე,ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>ი) ლიცენზიის მიღებიდან სამი წლის ვადაში მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოებში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>კ) უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;<br>ლ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. | | | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | | | |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | | | 245429200 | | | | |
| მისამართი/ტელეფონი | | | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 | | | | |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | | | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია | | | | |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | | | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 20 მარტს დღის 18.00 საათზე | | | | |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | | | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის20 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 20 მარტს დღის 18.00 საათზე | | | | |
| სხვა მონაცემები | | | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში | | | | |



# წმინდა სვიმონ ღმრთისმიმრქმელი და ანა წინასწარმეტყველი

**16 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღმრთის მიმრქმელი სვიმეონის და ანა წინასწარმეტყველის ხსენებას.**

მახარებელ ლუკას თანახმად, სვიმეონს სული წმიდისაგან აღთქმული ჰქონდა, რომ არ მოკვდებოდა, სანამ ქრისტეს არ იხილავდა. გარდამოცემის თანახმად, ეს აღთქმა მან ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე 270 წლით ადრე მიიღო. იმ დროს სვიმეონი 70 მთარგმნელის რიცხვში შედიოდა, რომელნიც ბიბლიის წმინდა წიგნებს ებრაულიდან ბერძნულ ენაზე, ეგვიპტის მეფის, პტოლემეოს ფილადელფოსის ბიბლიოთეკისთვის თარგმნიდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ესაიას წინასწარმეტყველების – ქალწულისაგან ემანუელის (მესიის) შობის შესახებ – თარგმნისას, სვიმეონი წინასწარმეტყველების სიზუსტეში დაეჭვდა და სიტყვა „ქალწულის“ „ქალით“ შეცვლა მოინდომა. ამ მომენტში მას ღმრთის სულისგან ეუწყა, რომ წინასწარმეტყველების დამახინჯება არ გაებედა და რომ იგი მანამ არ მოკვდება, სანამ სწორედ ქალწულისგან მესიის შობის შესახებ ესაიას წინასწარმეტყველების აღსრულებას არ იხილავს.



...ლუკა მახარებელი არ ამბობს, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა მართალი სვიმეონი, მაგრამ საეკლესიო საგალობლებში იგი მღვდლად და მღვდელმთავრად იწოდება.

სავარაუდოა, რომ იგი ტაძარში მომსახურე მღვდლებს მიეკუთვნებოდა.

საგულისხმოა ისიც, რომ სვიმეონთან ერთად, იერუსალიმის ტაძარში უფალთან შეხვედრის ღირსი გახდა 84 წლის მართალი ანა.

სახარებიდან ცნობილია, რომ ასესისგან (ტომია) წარმოდგებოდა და ფანოელის ასული იყო. გათხოვებიდან შვიდი წლის შემდეგ მას ქმარი მოუკვდა და მას შემდეგ ტაძრიდან არ გადიოდა. იგი მკაცრ და თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა და მარხვით და ლოცვით ღმერთს დღე და ღამ ემსახურებოდა...

საეკლესიო ლოცვებში მართალი ანა, განიდიდება როგორც ყველასგან პატივდებული, უბიწო ქვრივი, ღირსი მოხუცი, ახალი აღთქმის წინასწარმეტყველი.

**გიული ლიპარტია**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლევან ბაბუხარდიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლევან ბაბუხარდია (პ/ნ 60001032264), ქ. ქუთაისი, გელათის მე-4 ჩიხი №4.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქუთაისი, გელათის მე-4 ჩიხი №4 (საკადასტრო კოდი: 03.03.24.060https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9361.47 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58414819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 584148

6. **მოვალე:** ლევან ბაბუხარდია (პ/ნ 60001032264), ქ. ქუთაისი, გელათის მე-4 ჩიხი №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58414819; ლოტის ნომერი: 584148).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 მარტს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანდრია ბიგვავას, ზვიად ბიგვავას, თეონა ბიგვავას, მათე ბიგვავას, ნატალია ბუკიას, ნელი ბიგვავას, ნია ბიგვავას და ჯუმბერ ბიგვავას თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრეები:** ანდრია ბიგვავა (პ/ნ 19750009996), ზვიად ბიგვავა (პ/ნ 62006009462), თეონა ბიგვავა (პ/ნ 62209009097), მათე ბიგვავა (პ/ნ 62009005877), ნატალია ბუკია (პ/ნ 19001027509), ნელი ბიგვავა (პ/ნ 62006028283), ნია ბიგვავა (პ/ნ 19950006517) და ჯუმბერ ბიგვავა (პ/ნ 62006028284), ზუგდიდი, ს. ჭითაწყარი, ც. დადიანის ქ. №3.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ზუგდიდი, ფაზისის ქ. №39 (საკადასტრო კოდი: 43.31.64.273https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3586.34 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58411419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 584114

6. **მოვალე:** მანუჩარ ხუხუა (პ/ნ 19601119358), ზუგდიდი, სოფელი ცაიში, ლაზის ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58411419; ლოტის ნომერი: 584114).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 მარტის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იამანი ხაინდრავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იამანი ხაინდრავა (პ/ნ 42001017016), ფოთი, ილიას ქ. №56.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ფოთი, ილიას ქ. №56 (საკადასტრო კოდი: 04.01.08.004https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17258.18 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58412419;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 584124

6. **მოვალე:** დავით ბოტკოველი (პ/ნ 42001011151), ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №24, ბინა 56.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58412419; ლოტის ნომერი: 584124).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 მარტს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამაზ ვადაქარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზ ვადაქარია (პ/ნ 42001030602), ფოთი, ნ. დუმბაძის ქ. №74.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ფოთი, ნ. დუმბაძის ქ. №74 (საკადასტრო კოდი: 04.01.14.050https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10711.50 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 18 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 5 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58414519;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 584145

6. **მოვალე:** თამაზ ვადაქარია (პ/ნ 42001030602), ფოთი, ნ. დუმბაძის ქ. №74.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58414519; ლოტის ნომერი: 584145).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 5 მარტს 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ოლიმპზე

# ზედიზედ მესამედ!



**არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში 23 წლამდე ასაკის ეტლით მუშკეტერთა მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა.**

„ა“ კატეგორიაში ხმლით ფარიკაობაში უმაღლესი სინჯის ჯილდო ნინო თიბილაშვილმა მოიპოვა. ფინალში ის ტაილანდელ ატიტაია ჩოკერს დაუპირისპირდა და ანგარიშით 15:7 დაამარცხა. თიბილაშვილისთვის აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში ეს მესამე ოქროს მედალია. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ის უკვე მესამე წელია არავის უთმობს.

**ბეჟან დოლიძე**

სფფ

# მეორე ვადით



**როგორც მოსალოდნელი იყო, ლევან კობიაშვილი კიდევ 4 წლით გაუძღვება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მონაწილე 28-ვე ხმოსანი დელეგატის ნდობის ვოტუმი მიიღო.**

გუშინვე აირჩიეს სფფ-ს აღმასკომი და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია სფფ-ს ასოცირებული წევრი გახდა, ასევე დამტკიცდა 2019 წლის ბიუჯეტი და მართვის საკონსტიტუციო ჯგუფი.

ამავე ფორუმზე სფფ-მ ქართულ ფეხბურთში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა **ნოდარ ანდრიაძე, დავით კვინიკაძე, ზურაბ პეტრიაშვილი** და ჩვენი კოლეგა **გია ტუხაშვილი.**

**ვულოცავთ!**

**გიორგი შოთაძე**

ევროპის ლიგა

# ესპანურ ნოტაზე

**ევროპა ლიგის გათამაშება ამ ტურნირის ტრადიციული ფავორიტების — ესპანური კლუბების დომინირებით განახლდა. აღსანიშნავია, რომ პირენეული კვარტეტის ყველა წევრმა სტუმრად ითამაშა და შესანიშნავი შედეგით (3 გამარჯვება, 1 ფრე) დიდი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისკენ:**

„ლაციო“ — „სევილია“ 0:1, „სელტიკი“ — „ვალენსია“ 0:2, „სპორტინგი“ — „ვილიარეალი“ 0:1, „რენი“ — „ბეტისი“ 3:3.

რაც შეეხება ქართველ ლეგიონერებს, დავით ხოჭოლავას „შახტარი“ შინ „აინტრახტს“ დაუზავდა — 2:2, ხოლო ლევან ხარაბაძის „ციურიხი“ ასევე საკუთარ მინდორზე „ნაპოლისთან“ შერცხვა — 1:3.

საპასუხო რაუნდის შეხვედრები 21 თებერვალს გაიმართება.

**მანუჩარ გიორგაძე**



თაოგა

# ოქრო პარიზში

**პარიზში დაწყებულ საფრანგეთის „დიდ პრიზზე“ ნინო ხუციბერიძემ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ახალგაზრდებში ოქროს მედალი მოიპოვა. ქუთაისელი ჩუბინი ფინალში მეორე შედეგით შევიდა — 566 ქულა, იქ კი მშვენივრად იასპარეზა, 235.2 ქულით ყველას აჯობა და არც ჩემპიონობა დაანება ვინმეს.**



მოგეხსენებათ, ამ ტურნირზე ჩვენი 7 მსროლელი გამოდის და ყველაზე წარმატებული სწორედ გოგონების შეჯიბრება გამოდგა, სადაც სამივე „ჯვაროსანი“ ფინალში გავიდა, მათ შორის — დებიუტანტი მარიამ ქობულაშვილიც, ხოლო ახალგაზრდებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ლიზი კილაძე სულაც საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებული გახდა, თანაც, საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა — 578 ქულა მოაგროვა და გვარიანად ჩამოიტოვა ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ხუციბერიძე, ქობულაშვილი კი 555-ით მეექვსე ადგილზე გავიდა.

აღსანიშნავია, რომ კილაძემ საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო, მეექვსე სერიაში უდანაკარგოდ ისროლა და 100 ქულა დააგროვა, მანამდე კი 97, 95, 96, 94 და 96 ქულა ჰქონდა. ხუციბერიძემ ცალკეულ სერიებში 96, 95, 95, 93, 93 და 94 ქულა მოგროვა, ქობულაშვილმა — 93, 92, 92, 93, 92 და 93.

როგორც გითხარით, ფინალში ხუციბერიძე მშვენივრად გაისარჯა და 235.2 ქულით გაიმარჯვა. ქობულაშვილმა 149.0-ით მეექვსე ადგილზე დაასრულა გამოსვლა, კილაძე კი პირველივე სერიიდან გამოეთიშა შეჯიბრებას და 109.8-ით მერვე ადგილზე დარჩა.

ბიჭებში კარგად გამოვიდა ჩვენი ერთადერთი მონაწილე აკაკი მოსულიშვილი, ვინც საკვალიფიკაციო ეტაპი მესამე ადგილით და ასევე საყურადღებო შედეგით — 572 ქულით დაასრულა, ფინალში კი საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა და სულ ცოტა დააკლდა ბრინჯაოს მედლამდე. შესარჩევ ეტაპზე ცალკეულ სერიებში აღსანიშნავია მისი 99 ქულა მეოთხე სერიაში, თუმცა, ურიგოდ არც სხვებში გამოსულა: 96, 94, 92, 96 და 95 ქულა.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# 40 უნებლიე შეცდომის ფასი



**ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 2 098 480 ევრო) მერვედფინალში გამოეთიშა, არადა, მარტონ ფუჩოვიჩის ბარიერი გადაულახავი ნამდვილად არ ყოფილა.**

მე-9 ნომრად განთესილმა ჩვენმა თანამემამულემ ყოჩაღად დაიწყო და უნგრელი მეტოქის მოწოდებაც აიღო, თუმცა, შემდეგ შეცდომებს უხშირა და მთელი გარჯა წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. ნიკოლოზმა თავისი მოწოდება 5:3-ზე წააგო და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, იქ კი ჩვენებურს შანსი არ ჰქონია.

სამწუხაროდ, აღნიშნულმა ბასილაშვილზე დამთრგუნველად იმოქმედა, უნებლიე შეცდომებს კიდევ უფრო მოუმატა და მე-2 სეტში უნგრელს სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. საბოლოოდ საქართველოს პირველი ჩოგანი 6:7 (1:7), 1:6 დამარცხდა. მატჩი საათსა და 20 წუთს გაგრძელდა, ნიკას კი 40 (!) უნებლიე შეცდომა (ფუჩოვიჩს - 11) და პირველ მოწოდებაზე მხოლოდ 46%-ანი მაჩვენებელი ჰქონდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# გონსალესმა აღიარა

**დიდი მაიმუნი ვინმეა არგენტინელი ფოტომოდელი და ჟურნალ „ფლეიბოის“ სახე ხოანა გონსალესი, რომელმაც შარშან ზაფხულში განაცხადა, რომ თანამემამულე ლეო მესისთან სექსი ორჯერ ჰქონდა და „ბარსელონას“ ვარსკვლავი „იმ ამბავში“ განსაკუთრებული დიდი ვერაფერია.**

თავად ლეო მესიმ ეს ამბავი უკომენტაროდ დატოვა, მაგრამ არ წაუყრუა მისმა ცოლმა ანტონელა რეკუზომ, რომელიც ამბობს, რომ ქმარს ბოლომდე ენდობა და მავანი მოდელის ბოდვა მათ სიყვარულს ვერაფერს დააკლებს. ამასთან, ისიც თქვა, რომ მესი საწოლშიც მრავალი „გოლის გამტანია“ და თუ მოინდომა, საბნის ქვეშაც (ისევე, როგორც მწვანე მინდორზე) დიდი ქარიშხლის დატრიალება ძალუძს.

სულ ახლახან კი ეპატაჟურმა ხოანა გონსალესმა აღიარა, რომ ლეოსთან თანაყოფის ამბავი მისი მოგონილი იყო და აინტერესებდა ამ ბოდვას როგორი რეაქცია მოჰყვებოდა საზოგადოებაში. ხოანას თქმით, ძალიან ადვილია ხალხის აგდება და მას კარგად ესმის იმ ადამიანების, რომლებიც პოპულარობის მოხვეჭას თვითპიარით ცდილობენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**



# ამანათები... დრონით



**თურქეთის ფოსტა (PTT) საპილოტე პროექტს უშვებს, რომელიც კლიენტებს ამანათებს დრონის მეშვეობით მიაწვდის. უპილოტო საფრენი საშუალება ამანათებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ჩაიტანს. საპილოტე პროექტის ფარგლებში, დრონები ძირითადად სწრაფი ამანათების ტრანსპორტირებაზე იქნება ორიენტირებული, მაგალითად სისხლი, წამალი ან სხვა.**

თურქეთის ფოსტა პროექტის გაშვებას 2019 წლის ბოლომდე გეგმავს.

# ძაღლებს ყეფა აუკრძალეს...

**საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ფოკიერის მერმა ადგილობრივ ძაღლებს ხმამაღლა ყეფა აუკრძალა, ხმადაბლა ყმუილი ან წამოყეფება შეიძლება, მაგრამ ისე რომ ამით მეზობლები არ შეაშინონ. ორშაბათიდან წესების დამრღვევთა მფლობელებს 68-ევროიანი ჯარიმა ემუქრებათ.**



ქალაქის მერი ჟან-პიერ ესტიენი ირწმუნება, რომ ეს აკრძალვა აუცილებელია, რადგან ზოგიერთი ძაღლი პრაქტიკულად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ყეფს და მეზობლებს მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. აღნიშნულმა ამბავმა ცხოველთა უფლებების დამცველები აღაშფოთა, თუმცა მერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მას ძაღლების მიმართ არავითარი პირადი წინააღმდეგობა არ აქვს და არ აპირებს, რომ ძაღლის პატრონები მათი ოთხფეხა მეგობრების ყველა წამოყეფებაზე დააჯარიმოს. აკრძალვა უკვე დაამტკიცა ქალაქის საკრებულომ. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ქალაქის მაცხოვრებლებმა შეადგინეს პეტიცია, სადაც ითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას როგორმე მოეგვარებინა ერთ-ერთ მაცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემა, რომლის სახლშიც რამდენიმე დიდი ძაღლი ცხოვრობდა, რომლებიც გამუდმებით ყეფდნენ.

# რუსეთში შავი თოვლი მოვიდა



**კემეროვოს ოლქის მაცხოვრებლებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს ფოტოები, სადაც, ჩანს, რომ რეგიონის სამ ქალაქში შავი თოვლი მოვიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით კემეროვოს ოლქის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.**

რეგიონალური მედიის ინფორმაციით, თოვლის გაშავების მიზეზი ქვანახშირის მტვერი გახდა, რომელსაც ქვანახშირის საწარმოები გამოყოფენ. ფაბრიკა „პროკოპევსკაიას" დირექტორმა ანატოლი ვოლკოვმა მედიასთან განაცხადა, რომ საწარმოში წყობიდან გამოვიდა ბადეები, რომელიც გარემოს დაბინძურებისგან იცავდნენ.

# კონტრდაზვერვის უფროსი... ჯაშუში აღმოჩნდა

**ბელგიის სადაზვერვო სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის (ADIV) ხელმძღვანელს კლემენტ ვანდენბორეს რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ. საქმის შესწავლამდე ის თანამდებობიდან დროებით არის ჩამოშორებული. ინფორმაციას გაზეთი De Morgen-ი თავის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ვანდენბორე სამართალდამცავი ორგანოების თვალთვალის ქვეშ იმყოფებოდა.**



ვანდენბორეს, რომელიც საიდუმლო სამსახურში 40 წელზე მეტ ხანს მუშაობდა, კონფიდენციალური ინფორმაციების გაცემაში ადანაშაულებენ. ვანდენბორე ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

# რატომ უყვართ კატებს რძე?



**ყველა ძუძუმწოვარა ცხოველის ნაშიერი რძეს სიამოვნებით ტლიკავს, მაგრამ ზრდასთან ერთად, სახეობათა უმრავლესობას რძის შაქრის გამხლეჩი ფერმენტის – ლაქტაზის სინთეზი უწყდება.**

ამის მთავარი შედეგი ისაა, რომ გაზრდილი ნაშიერები ასეთი საკვების მიღებას აღარ ესწრაფვიან, ამიტომაც მდედრს ახლად გაჩენილთა გამოკვების შესაძლებლობა ეძლევა. შინაურ კატებს კი მუტაციების წყალობით ლაქტაზის სინთეზი მოზრდილ ასაკშიც უგრძელდება. ეს, როგორც ჩანს, კატის მოშინაურების შედეგად გახდა შესაძლებელი, რისი წყალობითაც მას ძროხის, თხისა და სხვა ცხოველთა რძით კვების საშუალება შეუქმნა. ამიტომაც საკვები ყველას სამყოფი გახდა და უფროსი კნუტები უმცროსებისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ. თუმცა ისიც კია, რომ დღესდღეობითაც ბევრი მოზრდილი კატა რძეს არ სვამს.

## ფიქრთ გასართველად

# სხვათაგან თქმული

**სიგნელე** შუქზე სწრაფად ვრცელდება.

* * *

**იდეა** უკვდავია, სანამ ცხოვრებაში განხორციელდება.

* * *

**შიშვლები** მზად არიან, ნებისმიერი მუნდირის ღირსება დაიცვან.

* * *

**პროტესტის** სიმღერა ხშირად გედის სიმღერაა.

* * *

**გოდვა** განსჯის ჯაჭვიდან თავაწყვეტილი ლოგიკაა.

* * *

**ყველაზე** მეტს ცხოვრებისგან წლები იღებენ.

* * *

**რაც** უფრო გულმოდგინედ ცდილობ მომავლის გათვლას, მით უფრო მოულოდნელად იქცევა ის აწმყოდ.

* * *

**აღფრთოვანებული** ადვილი მოსატყუებელია.

* * *

**სტრიპტიზიორის** სიმართლეც კი შიშველია.

* * *

**ცხოვრებას** ყველაზე უფრო რეალისტურად ოქმები და დიაგნოზები ასახავენ.

* * *

**გაუგებლობა** ყველასთვის ხელმისაწვდომია.



სპილოურ-ვახტანგური

* * *

**გამრავლება** და დაწყობა კოლექტიური საქმეა, გამოკლება და გაყოფა კი – ინდივიდუალური.

* * *

**თავისუფლება** ჯილდოა დამოუკიდებლისთვის და სასჯელია ჯოგს მოწყვეტილისთვის.

* * *

**აღსარება** სინდისთან დაპირისპირებაა.

* * *

**კარგი** განაჩენების წერას ზევრად სჯობს ცუდი მოთხრობების წერა.


**წარმატებულო ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო,**

**მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6420; ევრო - 2.9778;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3915
100 რუბლი - 3.9577; თურქული ლირა - 0.4991;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5578;
1000 სომხური დრამი - 5.4084.

**ამინდი 16 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +5 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +5 |
| **თბილისი:** | ღამე | +3, | დღე | +10 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge